საერთო გაზეთი

№10 (602) • 24 მარტი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი

ირაკლი ღარიბაშვილის ევროპული ბენეფისი

კაცობრიობა ციფრულ-ეპიდემიოლოგიური დიქტატურისკენ მიდის, რაც საბედისწეროდ აისახება საქართველოზეც

სათადარიგო პროვოკატორი და შაჰიდის ქამარშებმული ქვეყანა

რას ნიშნავს ოპოზიციის, უფრო ზუსტად, „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა? რას ნიშნავს და რუსეთის შემოსვლას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საქართველოს ტერიტორიიდან ნატოს და ევროკავშირის გასვლას

ვის ეძახით თქვენ მონებს, თავად მონებო!

სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ - რუსეთის მონები და ხელისბიჭები, რომლებმაც ნახევარი საქართველო რუსებზე გაასხვისეს

9 აპრილს ათიათასობით ქართველი გამოვა რუსთაველის

პროსპექტზე და დასავლეთსაც, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ხმამაღლა ეტყვის რა სურს მას!

ევროპული მედიაციით ჩატარებული შეხვედრები, ჩემი აზრით, წარუმატებელი გახლდათ და თავიდანვე განწირული იყო ჩავარდნისთვის

„ბაიდენი ცარიელი კოსტუმია, სუფლიორით...“

პანდემიასთან ბრძოლაზე საუბრის დროს თეთრ სახლში, ბაიდენმა ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი პრეზიდენტად მოიხსენია

ნაცებო, წადით! გახარია მოდის!

დაიწყება თუ არა იმ ბოსლის გამოწმენდა, რომელსაც ქართული პოლიტიკა ჰქვია?

მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნები 2021 წლისთვის

ირაკლი ღარიბაშვილის ევროპული ბენეფისი

ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი, თითქმის დარწმუნებულიც ვიყავი, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ე.წ. ოპოზიციონრების მიერ აქოთებულ სიტუაციას დაალაგებდა, მაგრამ ასე ევროპულ დონეზე თუ "მოაყომარებდა", მაინც არ მეგონა.

ირაკლი ღარიბაშვილი ნიჭიერი კაცია!

თუ მის ნიჭიერებას მივუმატებთ გონიერებას, ენერგიულობას და სამშობლოსადმი ერთგულებას (ბევრის ჩამოთვლა შეიძლება), უნდა ჩავთვალოთ, რომ სათავეში სანდო პიროვნება გვყავს.

თუმცა!

სანამ ღარიბაშვილი ე.წ. ოპოზიციონრებს ხუშტურებს გაუფარჩაკებდა და იქით შეუტრიალებდა, ეს უდღეურები ხელებს იფშვნეტდნენ: აი, ნახავთ, ჩავა ხელცარიელი პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში და რა დღეში ჩააგდებენო... შეიძლება არც კი შეხვდნენ, არც კი მიიღონ, აუცილებლად მოსაცდელიდანვე გამოაპანღურებენო... ვერაო, კაცო, ვერაფერი ვერ გაიგო, ვერ მოგველაპარაკა, ჩვენ ისევ ძველ ჩვენებას ვაწვებით, თუ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნა და პოლიტპატიმრები არ გათავისუფლდნენ, მამაზეციერიც რომ ჩამოვიდეს, მაინც არ დავთანხმდებით პარლამენტში შესვლაზეო... არ გამოვაო, ბიძინა ივანიშვილს მოპარულ არჩევნებს ვერ "გავუპრავებთო".

მარტის პირველ რიცხვებში ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ჩამოვიდა. მანამდე ეს კაცი, შარლ ივ ჟან გიზლენ მიშელი, 2014–2019 წლებში იყო ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრი. 2019 წლის 1 დეკემბრიდან ევროპული საბჭოს პრეზიდენტია. ბევრი ეცადა მაგრამ ე.წ. ქართველ ოპოზიციონრებს ვერაფერი შეაგნებინა. ორი დღის განმავლობაში ელაპარაკა, პარლამენტში შედითო, ეგრე არ შეიძლებაო, ხალხმა მანდატები მოგცათო, გაჯიუტებით რუსეთის საქმეს აკეთებთო... ვიცით, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, ჩვენი დამკვირვებლები აქ იყვნენ, ყველაფერი საკუთარი თვალით ნახესო.

სხვათა შორის, აქამდე მეგონა, ევროპელი დიპლომატ-პოლიტიკოსები ბოლომდე ამ ე.წ. ოპოზიციის მამაძაღლობებს ვერ ჩასწვდებოდნენ.

ვაღიარებ, მაგრები ყოფილან!

ჩასწვდნენ, შარლ მიშელს ვერაფერი გამოაპარეს. კაცმა პირველივე შეხვედრისას მიახალა, თქვენ რუსულ საქმეს აკეთებთო.

როგორც ვახტანგ მეგრელიშვილი და ალეკო ელისაშვილი ამბობენ, ამათ, ამ ოპოზიციონერებმა, თავები ჩაღუნეს, ერთ დეგენერატსაც კი არ გაუპროტესტებია – არა, ბატონო, რასაა, რომ გვკადრებთ და რატომაა, რომ გვკადრებთო?! წესით, ასეთი შეკითხვები ძალიან მკაცრი ტონით უნდა დაესვათ, წარბის ზემოთ აწევით და თვალების გადმოკარკვლით. არა, კაცო, არა, ამათ თავები ჩაღუნეს, ამ რუსეთის მონებმა, სხვებს რომ უძახიან მონებს, ხმა ვერ ამოიღეს, ჩაიფსეს და ჩაისვარეს.

შეხვედრიდან რომ გამოვიდნენ, ისევ აყელყელავდნენ, ვერ ვიტყვით, რაზე ვილაპარაკეთ, ერთი კია, ნაბიჯები წინ გადავდგით, "ქართული ოცნების" საქმე წასულია, ბიძინა ივანიშვილს სანქციებს დაუწესებენ, ქონებას ჩამოართმევენ, მალე საფრანგეთში გაიპარება, თუ არ დააპატიმრესო. ვერ არიან კარგად, ეს საცოდავები, რა ზღაპრებსაც მიშა შთააგონებს კიევიდან, იმას იჯერებენ და ჰყვებიან. ამათ რომ ვუყურებ, ამათ მოქიცინე თავებს რომ ვხედავ, მეცინება და ვფიქრობ, ნეტავ ადრეც ეგეთები იყვნენ თუ მხოლოდ 2012 წლის შემდეგ გამოთაყვანდნენ?

მოკლედ, როგორც უკვე გითხარით, მიუხედავად იმისა, რომ შარლ მიშელმა ამათ პირდაპირ უთხრა (სიმართლე) სათქმელი, მაინც ვერაფერი გაიგეს. ადგა ეს მიშელი და წავიდა ბრიუსელში, თან ჩაილაპარაკა, საქართველოში თვალები ამეხილაო. კონკრეტულად რაზე აეხილა თვალები, დაზუსტებით არავინ იცის, მაგრამ ე.წ. ოპოზიციონრებმა მაინც თავიანთებურად მოთარგმნეს – ეგე, ეხლა კი დასრულდა "ქართული ოცნებაო". მიშელმა ირაკლი ღარიბაშვილს უთხრა, ჩამობრძანდით 16 მარტს ბრიუსელში, დავილაპარაკოთ, საბოლოოდ გადავწყვიტოთ, ესენი ქუჩაში დარჩებიან თუ პარლამენტში შევლენო. უნდა ეთქვა, შეეთრევიანო, მაგრამ ხელი ჩაიქნია, მაინც დიპლომატია, თავი შეიკავა. ჩაფრინდა მიშელი ბრიუსელში და თავისი წარმომადგენელი კრისტიან დანიელსონი გამოაგზავნა თბილისში, იქნებ რამე შეასმინო, იქნებ შენ მაინც დაგიჯერონო... იმედი არ მაქვს, მაგრამ მაინცო, ვცადოთო. ჩამოვიდა დანიელსონი, წყნარი, მორიდებული კაცი. დაუჯდა, ელაპარაკა, შეაყარა კედელს ცერცვი, არაფერი. მესამე დღეს წასვლას აპირებდა, დარჩა, სანამ სიტუაციას არ დავარეგულირებ, არ წავალო. მიხა სააკაშვილმა სარკოფაგიდან აკო მინაშვილი წამოაგდო, მოლაპარაკებებზე შეუშვა, იმნაირი განცხადებები აკეთებინა, ყველა გადაირია, მართლა ხისთავიანები ყოფილანო. აკომ, ჩვენაო, ერთ მნიშვნელოვან დათმობაზე უკვე წავედით, მოლაპარაკების მაგიდასთან დავსხედით, მეტი რაღა გინდათო? ეხლა ჯერი "ქართულ ოცნებაზეა", ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნოსო, მელია და ყველია პოლიტპატიმრები არიან და გამოუშვასო. ავმა ენებმა ამბები გამოიტანეს, თურმე მოლაპარაკებებისას მელია და ყველია, ანუ რურუა საერთოდ არ უხსენებიათ, ამ კრიმინალების გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში არც მდგარა. სხვათა შორისო, ამბობენ იგივე ავი ენები, არც ვადამდელი არჩევნების თემა განიხილებოდაო.

16 მარტს ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირის ელჩთან, კარლ ჰარცელთან ერთად, ბრიუსელს ეწვია. პირველივე დღეს შეხვდა

შარლ მიშელს. კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა, რომ უშუალოდ არის ჩართული მედიაციის პროცესში:

,, შარლ მიშელს გავუზიარე ჩვენი პარტიის, მთავრობის პოზიცია და მან, ბუნებრივია, ყურადღებით მოისმინა ჩვენი შეთავაზებები. ოპოზიცია ბოლო დღეების განმავლობაში განსაკუთრებული დესტრუქციული მანერით ცდილობს, ხელი არ შეუწყოს დიალოგის პროცესს, პირიქით, აღრმავებს უფსკრულს. ამის არაერთი მცდელობა, არაერთი პროვოკაცია ვნახეთ ბოლო დღეების განმავლობაში. საბოლოო ჯამში, მთელი ცივილიზებული ევროპის და ამ შემთხვევაში, იგივე შარლ მიშელის საბოლოო სურვილი და ამოცანაა, რომ ჩვენ, ხელისუფლებამ, ოპოზიციასთან ერთად, გავაგრძელოთ მუშაობა პარლამენტში. ამას როგორ მივაღწევთ, გამოჩნდება მომდევნო დღეებში".

ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში ასევე შეხვდა ევროკომისარს, ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში, ოლივერ ვარჰეისს. მან თქვა, ჩვენს მთავრობას აქვს ამბიციური გეგმა, საქართველომ 2024 წელს ოფიციალური განაცხადი გააკეთოს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზეო; შეხვდა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს, ჟოზეფ ბორელს.

აი, აქ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ბორელის განცხადება!

კაცმა ევროპარლამენტის ტრიბუნიდან პირდაპირ თქვა, ეუთოს მიაჩნია, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნები იყო სამართლიანი, კონკურენტული და თავისუფალიო.

ე.წ. ოპოზიციონრების ტლინკების ყრამაც არ დააყოვნა, ეგრევე გამოვარდა "არაორდინალური" შალიკო ნათელაშვილი და დაასკვნა, ბატონ ბორელის განცხადება ქართველი ხალხისთვის მიუღებელიაო.

გაიგონეთ?

ქართველი ხალხისთვისო!

ეს განცხადება ძალიან ჰგავს ნარიშკინის განცხადებას, რუსეთის საგარეო დაზვერვის დირექტორისას, რომელიც ასევე აცხადებს,

„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

რომ არჩევნები ჩატარდა სამართლიანად და ოპოზიცია ტყუილად ედავება ჩვენს ოლიგარქს ტახტსა და ძალაუფლებასო.

აბა, შალიკო რის შალიკოა, ცოტა თუ არ წამოუდებილა? ესე იგი, ბორელი იგივე ნარიშკინიაო, რუსიაო, მოსყიდულიაო, ივანიშვილი ფულს უხდისო.

სხვათა შორის, კრისტიან დანიელსონთან შეხვედრა ბატონმა შალიკომ პროტესტის ნიშნად დატოვა. როგორც მან ჟურნალისტებს უთხრა, შეხვედრა იმიტომ დავტოვე, რადგან პირველ საკითხად რიგგარეშე არჩევნები და პოლიტპატიმრების გათავისუფლება არ განიხილებაო.

ზაალ უდუმაშვილმა მიიჩნია, რომ ჟოზეფ ბორელის განცხადებაში გარკვეული უზუსტობა იყო. თუმცა ამავე დროს ძალიან სწორად აღიქვამენ იმ პროცესს, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს და აფასებენ იმ კრიზისს, რომელიც არის შექმნილი. გაიგეთ რამე უდუმაშვილის ნათქვამიდან? ვერც მე გავიგე, რადგან ეგ ტიპი მუდმივად ბოდავს.,, ლელოელ" საბა ბუაძის თქმით, ბორელი აღიარებს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს და აცხადებს, რომ ხელისუფლების როლი ამ კრიზისის მოგვარებაში გადამწყვეტია.

„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრის სერგო ჩიხლაძის განცხადებით, ეუთოს დასკვნაში სიტყვა – "სამართლიანი" არ წერია, იქ წერია,, თავისუფალი", თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ითვალისწინებენ ბორელის შეფასებებს.

ხედავთ? ესენი ერთნაირად ბოდავენ, ერთი ავანტიურისტის დაწერილი ტექსტები აქვთ გაზეპირებული – ამათი მთავარი იდეოლოგი გახლავთ თემურ ალასანია, მიხეილ სააკაშვილის ბიძა. ამან, ბებერმა ქოფაკმა გაულაყა ტვინი ე.წ. ოპოზიციონრებს. ისედაც გალაყებული ჰქონდათ, უმაგისობა ნამდვილად არ იყო, მაგრამ ეგრე? რა ვიცი!

განვაგრძოთ... ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა ევროკომისიის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს, ევროკომისარს ვაჭრობის საკითხებში, ვალდის დომბროვსკის. ისაუბრეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე. ევროპარლამენტის სამხრეთ კავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელს, მარინა კალიურანდს. ქალბატონმა მარინამ ხაზგასმით ითქვა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენონ საქართველოს მოქალაქეების ინტერესები და თავიანთი ნაბიჯების გადადგმისას ქვეყნის გრძელვადიანი ინტერესებით იხელმძღვანელონ.

აბა პოლიტიკური პარტიები?!

როგორც ჩანს, ევროპაში ზოგიერთმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ საქართველოში არ არსებობს ოპოზიციური პარტიები, არსებობენ მხოლოდ პოლიტიკანი ინდმეწარმეები, რომლებიც თემურ ალასანიას ჯიბეზე არიან ჩამოკონწიალებულნი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდა ევროპარლამენტის პრეზიდენტს, დევიდ სასოლის. განიხილეს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება. საქართველო-ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორობა, ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესი, ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება და მიმდინარე პოლიტიკური პროცესი განიხილეს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, დევიდ მაკალისტერთან შეხვედრაზე. მაკალისტერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროპარლამენტის მტკიცე მხარდაჭერა, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ისე – ქვეყნის ევროინტეგრაციისა და დემოკრატიული განვითარებისადმი.

და ბოლოს... ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა ნატოს გენერალურ მდივანს, იენს სტოლტენბერგს. შეხვედრისას ხაზი გაესვა ნატო-საქართველოს შორის არსებულ წარმატებულ თანამშრომლობას და განახლებულ პაკეტს. ისაუბრეს შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობასა და საქართველოს როლზე ამ მიმართულებით.

ყურადღება გამახვილდა რეგიონში შექმნილ ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებასა და რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებზე.

დასკვნა

ძვირფასო მეგობრებო, ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტმა ბრიუსელში კიდევ ერთხელ გამოაჩინა, რა პრობლემები არსებობს მსოფლიოში, რეგიონსა თუ ჩვენს ქვეყანაში. აშკარად ვხედავთ, რომ დედამიწაზე ისე არ არის საქმე, როგორც უნდა იყოს. ამ დროს კი ეს უდღეურები რაზე ლაპარაკობენ, რაზე დაობენ? რაზე და... შევალ, არ შევალ, ხელახალი არჩევნები ჩაატარეთ, გაყალბდა, არ გაყალბდა... ყველაზე მეტს ისინი ყიყინებენ, ვისაც ქართველმა ხალხმა ხმა საერთოდ არ მისცა. როგორც ახლა ირკვევა, ხელისუფლებას ისეთი შეთავაზებები ჰქონია, მოსახლეობას რომ არც კი მოეწონებოდა. მაგალითად, ელისაშვილი იძახის, ხელისუფლებას ჰქონდა შეთავაზება, თუ თვითმმართველობის არჩევნებზე "ქართულ ოცნებას" 40%-ზე დაბალი შედეგი ექნებოდა, ამ შემთხვევაში ის თანხმდებოდა 2022 წელს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას. უკაცრავად, მაგრამ ასეთი გარიგებები მე ნამდვილად არ მომწონს... რა არის ეს, სახელმწიფო თუ ტოტალიზატორი? რა პროცენტებზე, რა ვადამდელ

არჩევნებსა და რა ლატარიაზე ლაპარაკობენ? უფრო სწორად, რა გარიგებაზე მიდგა საქმე? ესე იგიო, თუ ასე იქნებაო, მაშინ ისე გავაკეთოთო.

ვისთან ვლაპარაკობთ?!

სარკოფაგიდან წამოგდებულ აკო მინაშვილთან? თურმე მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელთან? რატომ ვლაპარაკობთ სააკაშვილის წარმომადგენელთან, მიხეილი ხომ არც საქართველოს მოქალაქეა და თან ხომ ძებნილია? მას მისჯილი აქვს, 7 წლამდე პატიმრობა გამოუტანა სასამართლომ, კრიმინალია, ყაჩაღია, მკვლელია, მწამებელია, გამაუპატიურებელია და... ვისაც ველაპარალებით, ვისაც ვეხვეწებით, პარლამენტში შებრძანდითო (შემობრძანდითო), ამ მკვლელისა და მწამებელის თანაშემწეები არიან, ყველა ნაშაულის მონაწილეები არიან.

ნუღარ მეტყვით, რომ ახლა ასეა საჭირო, დემოკრატია უნდა გავამყაროთ, მამული განსაცდელშია, მაინც ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც მე და ჩემნაირებს გვინდოდა – არაფერი გამოვიდა, ყველანაირი მცდელობა ჩაიშალა. "გირჩელი" ვახტანგ მეგრელიშვილი იძახის, მთელი კვირა ვიარე შეხვედრებზე და ბოლოს მივხვდი, ვერაფერი ვერ გავიგეო. თქვენ გგონიათ, ბადრი ჯაფარიძემ ან სხვებმა გაიგეს, რისთვის დადიოდნენ? ვერაფერიც ვერ გაიგეს, კიევიდან მიხომ დარეკა, არ შეხვიდეთ, თქვენი ფეხი არ ვნახო იქაო და... მორჩა, იბოდიალეს ხუთი თვე, ვითომ მოლაპარაკებებზე დადიოდნენ, ვითომ პოლიტიკოსობდნენ, ვითომ ჭკვიანურ რაღაცებს ამბობდნენ, ვითომ სახელმწიფოებრივად აზროვნებდნენ, სინამდვილეში კი ჩუმ-ჩუმად თემურ ალასანიას მიერ ჩარიცხულ უზალთუნებს ითვლიდნენ. დარწმუნებით გეუბნებით, ამათ იმდენი აიღეს ე.წ. პოლიტიკური კრიზისის შესაქმნელად (ჩემი ფეხები შექმნეს), პარლამენტში შესვლა და იქაური ხელფას-პრივილეგიებიც აღარაფრად უღირთ. აბა, კარგად დააკვირდით (ან კი დაკვირვება რათ უნდა?), რომელი გყავთ ე.წ. ოპოზიციაში ისეთი, დეპუტატობაზე უარს რომ იტყვის? არც ერთი, ვინც არაფრად ჩააგდეს, ვისაც,, მაყუთი" არ მისცეს და მხოლოდ სიტყვაზე წამოიკიდეს, კი შესრიალდნენ პარლამენტის შენობაში. მალე სხვებიც შესრიალდებიან – გირჩელ, მირჩელ,,, პრაშმანდოვკები". მთავარია, ნაცები, შმაცები და გნაცები არ შედიან, არც უნდა შევიდნენ, ეგენი ქუჩაში უნდა ეყაროონ. დიახ, ნაგავი ან ქუჩაში უნდა ეყაროს, ან კიდევ ბუნკერში. ქუჩაში უკვე ყრიან, ახლა სპეციალურ ბუნკერში მოვათავსებთ და დაისვენებს ქვეყანა. ნუ გეშინიათ, ჩვენ ამათზე უარესი დამპყრობლებიც გვინახავს, ესენი იმათთან შედარებით ტილები არიან.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

P.S. ე.წ. ოპოზიცია გადადის მოქმედების ახალ რეჟიმზე. როგორც თინა ბოკუჩავამ განაცხადა, ისინი გაიშლებიან მთელი საქართველოს მასშტაბით, რათა ქვეყანაში აღადგინონ სამართლიანობა. ამხანაგმა ზაალ უდუმაშვილმა კი ასეთი რამ თქვა:,, ჩვენს უკან საქართველოა, ჩვენს უკან არის საქართველოს ევროპული მომავალი, რომლისთვისაც იბრძოდნენ ჩვენი თანამოქალაქეები საუკუნეების განმავლობაში. ჩვენს უკან არის სახელმწიფოს იდეა"!

დიახ, სწორად შენიშნა ამხანაგმა უდუმ ზაალიშვილმა... ყველაფერი უკან დარჩათ, ამ საცოდავებს, მათ წინ სიბნელეა!

თუმცა 15 მაისიდან ე.წ. ოპოზიცია თბილისში, პარლამენტის წინ მაინც აპირებს "უფართომასშტაბესი" აქციის გამართვას.

ჰა, ჰა, ჰა!

უკრაინის მოქალაქე სააკაშვილმა განაცხადა: ევროპა არა, ტოროლაო!

ტოროლაო, კაცოოო!

რა ევროპა, რი ევროპაო?!

გ.ზ.

სათადარიგო პროვოკატორი და შაჰიდის ქამარშებმული ქვეყანა

რას ნიშნავს ოპოზიციის, უფრო ზუსტად, „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა? რას ნიშნავს და რუსეთის შემოსვლას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საქართველოს ტერიტორიიდან ნატოს და ევროკავშირის გასვლას

ვახტანგ ხარჩილავა:

როგორც გაირკვა, ლამის მთელ დასავლეთთან ბოდიში მაქვს მოსახდელი და ახლავე, ამ წერილით უნდა გავაკეთო ეს.

ბოდიშს ვუხდი ქალბატონ კელი დეგნანს, ბოდიშს ვუხდი ბატონებს: შარლ მიშელს, კარლ ჰარცელს, ქრისტიან დანიელსონს, ვიოლა ფონ კრამერს, ჟოზეფ ბორელს, ყველას, ვინც ხელისუფლების და ოპოზიციის შეთანხმება-შერიგების ხუთთვიან მარათონში მონაწილეობდა.

— რატომ გაიხადე საქმე საბოდიშოდ? რა დააშავე ასეთი? — იკითხავთ, ალბათ.

რა დავაშავე და 2019 წლის 20 ივნისიდან დაწყებული, ამ პატიოსან ხალხს თითქმის ყველა წერილში, „საერთო გაზეთის“ თითქმის ყველა ნომერში ვსაყვედურობდი: ეს ოპოზიცია, თქვენ რომ ასე ეფერებით და ელოლიავებით, სინამდვილეში, რუსეთის ინტერესებს ემსახურება და რატომ არ ამბობთ ამას ხმამაღლა, რატომ არ ეუბნებით ამას ამ თავხედებს-მეთქი და ამ დროს, თურმე, ვცდებოდი.

— პირველსავე შეხვედრაზე გვითხრეს ჩვენმა დასავლეთელმა მეგობრებმა, რასაც თქვენ აკეთებთ, ეს რუსეთის ინტერესებში შედისო, — განაცხადა წინა კვირას ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ერთი ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა.

ტელეწამყვანი დაიბნა და ენის ბორძიკით იკითხა: ვის უთხრეს ეს?

— ვის უთხრეს და ჩვენ, ოპოზიციას, გვითხრეს, — დააზუსტა აღიარების ხასიათზე მოსულმა ოპოზიციონერმა.

ხედავთ, უთქვამთ, თანაც პირველსავე შეხვედრაზე უთქვამთ, მე კი დაჟინებით ვსაყვედურობდი და ვსაყვედურობდი ამ ობიექტურ და მიუკერძოებელ მედიატორებს, რატომ არაფერს ამბობთ-მეთქი?

მქონია საქმე მოსაბოდიშებლად?

კი, მქონია, თუმცა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მთლად ჩემი ბრალი არ არის, საბოდიშოდ რომ გავიხადე საქმე.

ამ დახურულ მოლაპარაკებებზე ვინ რას ეუბნებოდა ამ ეშმაკივით ცოცხზე გადამჯდარ ოპოზიციას, აბა, საიდან უნდა დამსიზმრებოდა, ხოლო ხმამაღლა სულ დემოკრატია და დემოკრატიას გაიძახოდნენ, რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირდა და ძალიან მაღიზიანებდა — ამ რუსეთის აგენტებს, ამ რუსეთის მეხუთე კოლონას რა დემოკრატიაზე ელაპარაკებიან ეს დალოცვილები? ნუთუ ვერ ხვდებიან, ვისთან აქვთ საქმე-მეთქი?

თურმე შესანიშნავად ხვდებიან ყველაფერს, თურმე შესანიშნავად იციან ყველაფერი!..

რაც ამ გასაიდუმლოებული მოლაპარაკებების საიდუმლო გამჟღავნდა, მას შემდეგ სულ სხვანაირი თვალით შევხედე ფასილიტატორი ელჩების თუ ევროპარლამენტის წარმომადგენელთა საქმიანობას და ის მიზეზებიც სულ სხვანაირად დავინახე, რომელთა გამოც ისინი საჯაროდ ვერ საუბრობენ იმის შესახებ, რაც ზედმიწევნით კარგად მოეხსენებათ.

გაუთქმელობის პირობა, ხაზგასმული სიფრთხილე, კონფიდენციალურობა, რაც ამ მოლაპარაკებებს ახლდა თან, არ ყოფილა განპირობებული მხოლოდ იმით, რომ ეს ხელს შეუშლიდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის წარმოშობილი შიდა პოლიტიკური კონფლიქტისა და დაპირისპირების მოგვარებას.

სინამდვილეში, ეს დაპირისპირება არ არის მხოლოდ ადგილობრივი ძალების ლოკალური, შიდა პოლიტიკური მნიშვნელობის დაპირისპირება.

სასწორის პინაზე დევს გაცილებით მასშტაბური და გლობალური ხასიათის საკითხები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ევროპისთვის და ნატოსთვისაც.

ჩვენმა დასავლეთელმა მეგობრებმა არაერთგზის ცხადად და ნათლად მიგვანიშნეს, რომ ამ მოლაპარაკებების შედეგებზე დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი, კერძოდ ის, გახდება თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა, შევა თუ არა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში თუ სამუდამოდ დარჩება რუსულ ორბიტაზე.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ოპოზიციურ პარტიებს ნაკლებად აინტერესებდათ, რამდენ ხმას მიიღებდნენ პარლამენტში შესასვლელად. მათ მთავარ მიზანს, მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ხელისუფლებაში მოსვლა და როცა ამას ვერ მიაღწიეს, ყველაფერს ხაზი გადაუსვეს.

— ოპოზიციას უნდა, ახალ-ახალი არჩევნები ჩატარდეს მანამდე, სანამ არ გაიმარჯვებენ, — თქვა არჩილ თალაკვაძემ და ეს სიტყვები სიმართლეა.

რას ნიშნავს ოპოზიციის, უფრო ზუსტად, „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა?

რას ნიშნავს და რუსეთის შემოსვლას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საქართველოს ტერიტორიიდან ნატოს და ევროკავშირის გასვლას.

არ იფიქროთ, რომ, რაც ახლა ვთქვი, ჩემი დასკვნაა, ჩემი „აღმოჩენაა“, ჩემი ანალიზია.

არა, არა, ამის შესახებ, ფაქტობრივად, ღია ტექსტით ლაპარაკობენ ევროპარლამენტის მაღალჩინოსნები, ფასილიტატორი ელჩები, მედიატორები.

გაიხსენეთ მათი ხვეწნანარევი მუდარა ოპოზიციის მისამართით: გააკეთეთ ის, რაც საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესებში შედის. საფრთხის ქვეშ ნუ დააყენებთ თქვენი ქვეყნის ისტორიულ არჩევანს. იმოქმედეთ სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე. რაც თქვენთან ხდება, ეს ერთადერთ სახელმწიფოს, რუსეთს აძლევს ხელს.

უფრო ნათლად რა უნდა ეთქვათ, მაგრამ ამ ჩვენი „პატრიოტი“ ოპოზიციის ყურში არაფერი შევიდა, მათი გაკერპებული და გაქვავებული გული ვერ მოლბა.

ოპოზიციაო, კი ვამბობთ, მაგრამ რასაც ესენი აკეთებენ, ეს ოპოზიციონრობა კი არა, ქვეყნის მტრობაა.

ქვეყნის მტრები არიან ესენი, ქვეყნის მტრები და მოღალატეები, რომლებიც ამ კორონა-პანდემიის ჟამს, ამ უკიდურესი გაჭირვების და სიდუხჭირის დროს ყელში გვწვდნენ და მოგუდვას გვიპირებენ, თუ მათ ეგოისტურ სურვილებს არ დავემორჩილებით.

სანამ საუბარს გავაგრძელებდეთ, „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში (№9) გამოქვეყნებული წერილის „პოლიტიკური „შნირები“ და ოპოზიციად წოდებული „ზონის“ მაყურებელი კიევიდან“ ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ:

„ — რა ძალები მფარველობენ სააკაშვილს და რატომ? — ამ საიდუმლოს ექსპერტთა და ანალიტიკოსთა ნაწილი იმით ხსნის, რომ დასავლეთი სააკაშვილს რუსეთის წინააღმდეგ უშიშარ და უკომპრომისო მებრძოლად თვლის და მას, როგორც მოკავშირეს, უფრთხილდება და მფარველობს, რომ საჭირო დროს გამოიყენოს.

თუ ეს მართლაც ასეა, ან დიდი შეცდომაა ეს, ან დიდი ღალატი ცალკეული პოლიტიკური წრეების მხრიდან.

ერთია, რას ამბობს და რას ლაპარაკობს სააკაშვილი ხმამაღლა, მაგრამ იმ საქმეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მას უკეთებია, ეჭვს არ იწვევს, რომ სააკაშვილი რუსული პროექტია.

ჩვენო ძვირფასო დასავლეთელო მეგობრებო, ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ ხომ არ გავიმეორებთ და თუნდაც რომ გავიმეოროთ, რა აზრი აქვს, ჩვენი ნათქვამისა თქვენ მაინც არ გჯერათ, ამიტომ, მოდით, თქვენ თვითონ ჩაატარეთ საქართველოს „ინვენტარიზაცია“ 2004 წლიდან 2012 წლამდე და იმდენ დანაკლისს აღმოაჩენთ, გაოცდებით.

ცოტა კიდევ თუ შეიწუხებთ თავს და იმასაც თუ შეისწავლით, სად წავიდა ეს დანაკლისი, აღმოაჩენთ, რომ ყველაფერი რუსეთის ყულაბაშია ჩაჩხრიალებული, დაწყებული საქართველოს ტერიტორიის 20%-ით

და დამთავრებული სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებით.

ღმერთმა ნუ ქნას და სააკაშვილი ისევ რომ მობრუნდეს ხელისუფლებაში, იგივეს გააკეთებს, რაც გააკეთა 2008 წელს და ეს ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ რუსეთი არა მარტო საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაამყარებს კონტროლს.

რუსეთს საქართველოს ხელისუფლების სათავეში ისეთი პროვოკატორი და ავანტურისტი სჭირდება, როგორიც სააკასვილია. მას არ უყვარს საქართველო და ქართველი ხალხი, განსაკუთრებით არ უყვარს 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ, როცა მისი თანამეცხედრის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ „ველურმა“, „კეპკიანმა“ ქართველებმა, ამ „დედამოტ..ულმა“, ავადმყოფმა ერმა“ (ეს უკვე ბიძამისის, თემურ ალასანიას სიტყვებია) ზურგი შეაქცია და ეს აღმაშენებლის სადარი კაცი იძულებული გახადეს, ქვეყნიდან გაქცეულიყო.

მას არ უყვარს საქართველო, რადგან იცის, არც საქართველოს უყვარს ის, თუმცა უცხოელებს ატყუებს და ირწმუნება, რომ მოსახლეობის 70%-ს მასზე ამოსდის მზე და მთვარე

და დღედაღამ იმის ნატვრაში არიან, როდის დაბრუნდება ეს ქვეყნის „მხსნელი“ სამშობლოში.

...შარლ მიშელის მიერ დატოვებულ ექვს პუნქტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მთავარ ოპოზიციურ პარტიას ჰყავს არაფორმალური ხელმძღვანელი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მსჯავრდებული პირი, რომელსაც ემორჩილება არა მარტო „ნაცმოძრაობა“, არამედ თითქმის ყველა ბარიერგადალახული პარტია.

აი, ეს მსჯავრდებული პირი ზის „ქურდად“ ოპოზიციაში, ის ალაგებს „პალაჟენიას“ ოპოზიციურ „ზონაში“, ის არის ამ „ზონის“ მთავარი „მაყურებელი“, ხოლო ისინი, ვინც მოლაპარაკების მაგიდას უსხედან, მისი პოლიტიკური „შნირები“ არიან.

რა მნიშვნელობა აქვს, რას ილაპარაკებს „ქართული ოცნება“ ამ პოლიტიკურ „შნირებთან“, როცა გადაწყვეტილების მიმღები სულ სხვაა, რომელსაც არც შეთანხმება აინტერესებს, არც რიგგარეშე არჩევნები, არც კრიზისული სიტუაციის განმუხტვა, არც მშვიდობა და სტაბილურობა.

რაც სააკაშვილს სურს, იგივე სურს რუსეთსაც და, აქედან გამომდინარე, ისინი მოკავშირეები არიან და მთელი ამ დავიდარაბის უკან, რაც დღეს საქართველოში ხდება, სინამდვილეში, რუსეთი დგას, რომელმაც კავკასიის რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური თამაშები წამოიწყო“.

სააკაშვილთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, ერთადერთმა უცხოელმა პოლიტიკოსმა, საქართველოში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა იან კელიმ, პირდაპირ თქვა ის, რის თქმასაც დიდი ხანია ველოდებით ჩვენი პარტნიორებისა და მეგობრებისგან: საქართველოში სიტუაცია რომ დასტაბილურდეს, სააკაშვილი უნდა ჩამოშორდეს ძალაუფლებისთვის ბრძოლასო. რის საპასუხოდაც სააკაშვილმა მას იდიოტი უწოდა, თუმცა მანამდე მიშას პარტნიორმა და რუპორმა ნიკა გვარამიამ კელი საქართველოში აშშ-ის ყველაზე საუკეთესო ელჩად მოიხსენია.

„ყველაზე საუკეთესო“ რატომ იქცა უცებ იდიოტად, ეს სააკაშვილის სინდისზე იყოს, მანამდე კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: **კელის განცხადება მხოლოდ სააკაშვილის პერსონას არ ეხება. ეს განცხადება დიპლომატიურ ენაზე ნათქვამი მინიშნებაა, რომ, პირველ რიგში, დასავლეთმა უნდა შეცვალოს საქართველოს მიმართ უკვე დაშტამპული და გაცვეთილი მიდგომები და ის როლი და ის ფუნქცია, რაც მას აქამდე ჰქონდა დაკისრებული, უნდა გადაიხედოს.**

სააკაშვილი სათადარიგო პროვოკატორია, რომელიც მუდმივად მზად არის პატარა, სუსტი, დამარცხებისთვის წინასწარ განწირული საქართველო რუსეთს დაატაკოს, რადგან სწორედ ეს როლი და ეს ფუნქცია აქვს საქართველოს დაკისრებული რუსეთის წინააღმდეგ მიმართული გლობალური ფრონტის ერთ-ერთ ფლანგზე.

ქვეყანა — კამიკაძე, ქვეყანა — შაჰიდის ქამრით, ქვეყანა — ცოცხალი ბომბი — როცა ასე გაქვს წარმოდგენილი ქვეყნის ფუნქცია, ამ ბომბის მოქმედებაში მომყვანიც უნდა გყავდეს და ჰყავთ კიდევაც სააკაშვილის სახით.

აი, ამგვარი მიდგომის შეცვლის აუცილებლობაზე მიანიშნა იან კელიმ, თუმცა, ეს რომ მოხდეს, ჯერ საქართველომ უნდა თქვას უარი ამ შეურაცხმყოფელ და დამაკნინებელ როლზე.

ჯერ ჩვენ უნდა გავბედოთ და ხმამაღლა უნდა გავნაცხადოთ: ნუ გვიყურებთ მხოლოდ როგორც გეოპოლიტიკურად საინტერესო მიწის ნაჭერს, როგორც თქვენი სამხედრო ბაზების განლაგებისთვის ხელსაყრელ ადგილს, შემოგვხედეთ, როგორც უძველესი ცივილიზაციის ქვეყანას, როგორც კულტურათა შემკრებ გზაჯვარედინს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველების გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანები.

ასეთი ქვეყანა არ არის ღირსი, კვლავ სააკაშვილებისა და მისნაირი სადისტების და მანიაკების სათარეშოდ იქცეს, თუნდაც ეს ვიღაც-ვიღაცებს ძალიან სჭირდებოდეთ თავიანთი პოლიტიკური მიზნების და გეგმების განსახორციელებლად.

2003 წლიდან 2012 წლამდე საქართველომ ერთი ჯოჯოხეთი უკვე გამოიარა. ნუ გაგვიშვებთ ჯოჯოხეთის მეორე წრეზე — ამას ქვეყანა, უბრალოდ, ვერ გაუძლებს.

ვახტანგ ხარჩილავა

დიდება მოთმინებასა შენსა, ქართველო ხალხო!

დავით გურამიშვილის მოტივებზე

ჩვიდმეტი წელიწადია,
ჩვენში სატანა სახლობს,
მაგრამ არა გვაქვს უფლება,
სატანას ხელი ვახლოთ.
წაბილწეს ავაზაკებმა
ღმერთების სამოსახლო.
დიდება მოთმინებასა
შენსა, ქართველო ხალხო!

ვინც მეგობარი გეგონა,
ისიც მტერთან დგას ახლოს.
ისევ გიმტყუნა გუმანმა,
ისევ გიმტყუნა ალღომ.
დიდება მოთმინებასა
შენსა, ქართველო ხალხო!

ვაი, შენ, ეშმაკებისგან
ფუძედაღრღნილო სახლო,
ადრე გმირების მშობელო,
ახლა კი — დუქნის დახლო.
დიდება მოთმინებასა
შენსა, ქართველო ხალხო!

ვერ მოგიშორე, ნაღველო,
ვერ მოგიშორე, თალხო,
გაგავერანეს, აგჩეხეს
ედემ-წალკოტის ბაღო.
არ მსურს, ბეჩავი გიხილო,
ძლიერი მინდა, გნახო.
დიდება მოთმინებასა,
დიდება მოთმინებასა,
დიდება მოთმინებასა
შენსა, ქართველო ხალხო!

მინაწერი: სამწუხაროდ, ახდა ჩვენი მორიგი „წინასწარმეტყველება“, რომ მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უშედეგოდ დამთავრდებოდა.

ამის მიხვედრას დიდი წინასწარმეტყველური ნიჭი ნამდვილად არ სჭირდებოდა, რადგან თავიდანვე ცხადი იყო, რომ ოპოზიცია, ანუ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“, „ქართული ოცნებისგან“, ფაქტობრივად, ხელისუფლების გადაბარებას ითხოვდა.

უკაცრავად, მაგრამ ხელისუფლება „ქართული ოცნების“ პირადი საკუთრება ხომ არ არის, რომ თავისი სურვილისამებრ ვინმეს გადააბაროს, აჩუქოს, მიყიდოს, ან რამეში გადაუცვალოს?

ხელისუფლების განმკარგავი ხალხია და ის წყვეტს, არჩევნების გზით ვის მიაკუთვნოს და როგორ გადაანაწილოს იგი.

არ იციან ეს ელემენტარული რამ „ნაციონალებმა“, „ქართულ ოცნებას“ რომ თხოვენ, ხელისუფლება გადმოგვაბარეთო?

იციან, როგორ არ იციან, მაგრამ თავის დროზე სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულებს იმდენად აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი ძალადობა, რომ ჰგონიათ, ახლაც იგივე მეთოდებით მიაღწევენ საწადელს.

ამათ არც დემოკრატია აინტერესებთ, არც საარჩევნო სისტემის შეცვლა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც რიგგარეშე არჩევნები, რადგან იციან, რომ, რამდენი ახალი არჩევნებიც არ უნდა ჩატარდეს, ყველას წააგებენ.

როგორც ზემოთ ვთქვით, მათ ერთადერთი მიზანი აქვთ — ქაოსი, არეულობა, დესტაბილიზაცია, სამოქალაქო დაპირისპირება, რომ ამ ფონზე როგორმე ძალაუფლების დათრევა მოახერხონ.

ქვეყნის მტრები და მოღალატეები არიან ესენი, დასაჭერები არიან ესენი, მაგრამ ვაი, რომ დემოკრატიით შებოჭილებს, დემოკრატიით ხელფეხშეკრულებს ამის უფლებასაც არ გვაძლევენ.

მაშინ რა ვქნათ? ნუთუ გამოსავალი არ არსებობს ამ სიტუაციიდან?

გამოსავალი ყოველთვის არსებობს, თუმცა ამის შესახებ „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში მოგახსენებთ.

ვ.ხ.

9 აპრილს ათიათასობით ქართველი გამოვა რუსთაველის პროსპექტზე და დასავლეთსაც, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ხმამაღლა ეტყვის რა სურს მას!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია („უცნობი“) გია გაჩეჩილაძე:

— ბატონო გია, ევროპის მედიაციით გამართული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. რამ განაპირობა ყოველივე?

— რა გითხრათ, ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: დიდი ხანია „ნაციონალების“ და მისი სატელიტების მხრიდან საქმე გვაქვს დესტრუქციასთან, რაც უკვე, აბსოლუტურად, ყველას მობეზრდა და ერთი სული აქვთ როდის დამთავრდება ის საშინელება, რაც საქართველოში ხდება. ასე, მოლაპარაკებები ვერასდროს შედგება. განა შეიძლება დესტრუქციულმა ძალებმა ვინმესთან მოლაპარაკება გამართონ?!. ეს მოლაპარაკებები თავიდანვე განწირულია. კომპრომისი შეიძლება მაშინ მოინახოს, როცა ორი ცივილიზებული მხარე დიალოგს აწარმოებს. ამ შემთხვევაში, რა კომპრომისზე უნდა ვილაპარაკოთ? როცა თავიდანვე კომპრომისზე წასვლის წინააღმდეგი ხარ და დესტრუქციისკენ ხარ მიმართული, ეს საკითხი არასდროს მოგვარდება. სანამ ხალხი თავის სიტყვას არ იტყვის, მანამდე სასიკეთო არაფერი მოხდება და სულ ასეთ დღეში ვიქნებით.

— აშშ, ევროკავშირი გვეუბნება, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების აუცილებლობა არ დგას.

— კი ბატონო, ასე გვეუბნებიან, მაგრამ ვინ უჯერებს? „ნაცები“ მაინც დესტრუქციას მიმართავენ და ძალის გამოყენებით ხელისუფლების სათავეში მოსვლა სურთ. ამიტომაც ხდება პარლამენტში შევარდნები და ა.შ. მათ იციან, რომ სხვაგვარად ხელისუფლებაში ვერ მოვლენ. ამიტომ, მიზნის მისაღწევად ყველაფერს კადრულობენ. აი, ასეთი ვითარებაა.

— როგორც თქვენ აღნიშნეთ: ეს პრო-რუსული ძალა და კაგებეშნიკების პროტესტია?

— დიახ, რა თქმა უნდა, ასეა. ეს ჩემი მოგონილი როდია, არამედ რეალობაა. ვინ არის თემურ ალასანია? — კაგებეშნიკი, ხომ. ყოფილი კაგებეშნიკები არ არსებობენ. კაგებეშნიკი კაგებეშნიკია და მორჩა. ეს ურცხვები ივანიშვილს უწოდებენ რუსულ პროექტს. ამ დროს, სააკაშვილმა თავისი მმართველობის დროს რაც გააკეთა, ეს რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმა გახლდათ და სხვა არაფერი. რუსეთს რაც უნდოდა, ყველაფერი ლანგრით მიართვა — საქართველოს ტერიტორიები ჩააბარა, რაზეც პასუხი დღემდე არ უგია. ამ ყველაფრის მიუხედავად, უნამუსოდ გაიძახის: ჩემისთანა მმართველი საქართველოს არ ჰყოლიაო. წარმოგიდგენიათ, რა დონის მატყუარაა. მე ის უფრო მაკვირვებს, ხალხის გარკვეულ კატეგორიას, რომელიც სააკაშვილზე აფანატებს, მისი როგორ სჯერათ.

„ნაცების“ ქმედებები სწორედ რუსეთის ინტერესებზე ასხამს წყალს. რუსეთს უნდა ჩვენი ქვეყანა მუდმივ რყევებში და დესტრუქციაში იყოს. „ნაცებიც“ მთელი ცხოვრება სწორედ ამას აკეთებენ. სხვა რა სახელი უნდა დავარქვათ. ძირითადად, სააკაშვილი თავის „ნაცმოძრაობიანად“ რუსეთის პროექტია იმიტომ, რომ ყოველი მათი ნაბიჯი რუსების ინტერესების გატარებას ემსახურება იქნება ეს ტერიტორიების ჩაბარება, ჰესების გადაცემა თუ სხვა. ახლა კი, ხელს მმართველი ძალისკენ იშვერენ. ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო — ხომ გაგიგონიათ. ასეა, მათი საქმე.

— სიტუაცია კონტროლიდან რომ გამოვიდეს, რუსეთი მაშინვე შემოვა...

— კი ბატონო, შემოსულები არ არიან?! უბრალოდ, 20 კილომეტრს გამოივლიან და ეგ არის. რუსეთი უკვე დიდი ხანია აქ დგას, რაც სააკაშვილის და მისი ხელისუფლების დამსახურებაა.

— სააკაშვილს მართლა ვადამდელი არჩევნების ჩატარება ადარდებს თუ დესტაბილიზაციის საფრთხის შექმნა? თუ რუსეთი ვითარების „განსამუხტად“ შემოვა, მიშასაც ხომ სწორედ მაშინ ეძლევა დაბრუნების შანსი?

— რა თქმა უნდა, ასეა. „ნაცების“ ინტერესი ვადამდელი არჩევნები არ არის. ასე რომ იყოს, ხმების გადათვლას დასთანხმდებოდნენ. ეს არ აწყობთ, რადგან იციან, რომ არჩევნები წააგეს. მათ იმ ოდენობის ხმაც არ აქვთ აღებული, რაც ამჟამად უწერიათ. ხმები პატარა პარტიების ხარჯზე მოიმატეს. ერთკაციან პარტიებს უბნებზე წარმომადგენლები არ ჰყოლიათ. ამიტომ, ვისაც ჰყავდა, ისინი ერთმანეთში გარიგდნენ.

რაც შეეხება სააკაშვილს, კი ბატონო, ზუსტად მაგას ცდილობს, რომ აქ, საფრთხე გაჩნდეს, რუსეთი შემოვიდეს და მერე, თავად ხელისუფლების სათავეში მოექცეს, მაგრამ ეს არ უნდა დავუშვათ. ამიტომაც, 9 აპრილს ხალხი შეიკრიბება, რათა ჩვენი ძალა დავანახოთ და ის თუ რამდენი ვართ. 9 აპრილი ქართველი ხალხის დღედ უნდა იქცეს. ამ დღეს ხალხი, ყოველწლიურად, გამოვა და ნებისმიერ მთავრობას შეახსენებს: ჩვენ, აქ, ვართო. ქვეყანაში პირველი პრიორიტეტი არის სწორედ ხალხი და არა რომელიმე პარტია, პოლიტიკოსი ან პარტნიორი ქვეყნები. სანამ ჩვენ ძალას არ დავანახებთ, მანამდე გააგრძელებენ ამ თამაშს, რასაც ახლა ვუყურებთ.

— ანუ, 9 აპრილს 100 ათასი ადამიანის მობილიზებას აპირებთ ვინც თვლის, რომ არჩევნები არ გაყალბებულა?

— არჩევნები რომ არ გაყალბებულა, ამის გამო არ ვაკეთებთ ამ აქციას. ეს იქნება მდუმარე აქცია, რათა უცხოელებსაც და ყველას დავანახოთ, რომ ამ ქვეყანაში ხალხი არის პრიორიტეტი და ისე არ არის საქმე როგორც ამას ოპოზიცია წარმოაჩენს. იგი, ხალხის სახელით ლაპარაკობს, რაც რეალობას არ შეეფერება. ჩვენ, ყველას უნდა გავაგებინოთ, რომ ხალხს აბსოლუტურად სხვა ინტერესი აქვს, პოლიტიკოსებს და ზოგიერთ პარტიულ ტელევიზიებს კი — სხვა. მათ უნდა დავანახოთ, რომ ჩვენი ძალა ერთობაშია. მერე, თვითონაც სხვა კუთხით დაფიქრდებიან.

— „ნაცებს“ ხელისუფლება პარლამენტში რატომ ეპატიჟება?

— ეგენი პარლამენტში მისაპატიჟებელი ხალხი არ არის, მაგრამ რას ვიზამთ, დღეს ასეთი მოცემულობაა. სააკაშვილს არჩევნები არ აინტერესებს, მას რევოლუციის მოწყობა სურს. იგი მხოლოდ ქვეყნის გადატრიალებით თუ მოვა ხელისუფლებაში და ეს თავადაც ძალიან კარგად იცის. დიახ, იცის, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერ მოვა. ამიტომ, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანა არიოს და მერე, რუსეთის დახმარებით ძალაუფლება ისევ დაიბრუნოს.

— დასავლეთი აცნობიერებს საიდან მოდის საფრთხე, თუმცა, ხმას არ იღებს. ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ იგი ეკონომიურად რუსეთზეა მიბმული და მასთან დაპირისპირებას უფრთხის?

— დასავლეთს საქართველოში, რუსეთისგან განსხვავებით, სტაბილურობა, სიწყნარე უნდა. აქ, არეულობა ერთადერთ ქვეყანას — რუსეთს აწყობს. დასავლეთს აქ, სიმშვიდე სურს, ამიტომაც, იბარებს ორივე მხარეს და შერიგებისკენ, კომპრომისზე წასვლისკენ მოუწოდებს. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, კომპრომისზე ვერ წავა ადამიანი, რომელსაც დესტრუქცია აქვს გადაწყვეტილი. ამიტომ, ახლა, ისევ და ისევ ხალხმა უნდა იაქტიუროს. მან დასავლეთს, სხვებსაც უნდა დაანახოს, რომ აქ, პრიორიტეტი ხალხია და სააკაშვილის ხელისუფლებაში უკან მობრუნებას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. სწორედ ამიტომაც იკრიბება ხალხი 9 აპრილს. ჩვენ, ვემიჯნებით „ნაციონალებს“, ყოველგვარ დესტრუქციას. უცხოელებს, დასავლეთს მინდა მივმართო: მელიას, რურუას პოლიტ.პატიმრებს რომ უწოდებენ, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ისინი პოლიტპატიმრები კი არა, დამნაშავეები არიან. ნუ, თხოვენ ხელისუფლებას მათ გათავისუფლებას და წნეხის ქვეშ ნუ აყენებენ, რათა დამნაშავეები ციხიდან გამოუშვან, რა. ეს სწორი საქციელი არ არის.

— ბატონო გია, მგონი, უკვე, მეორედ გვიპირებენ „ნაცებზე“ „ჯვარი დაგვწერონ“?

— ვერ დაგვწერენ. თუ ხალხი მოწოდების სიმაღლეზე დადგება,

„ნაცებზე“ ჯვარს ვერავინ დაგვწერს ვერც ევროპა და ვერც აშშ. ხალხი თუ ძილს გააგრძელებს, კი ბატონო მაშინ ჯვარსაც დაგვწერენ და მეტსაც გვიზამენ.

9 აპრილს, ტრადიციად უნდა დავამკვიდროთ ხალხის შეკრება. ეს ქართველი ხალხის დღე იქნება. ამ დღეს ქართველი ხალხი ყოველწელს უნდა გამოვიდეს, რათა არცერთ ხელისუფლებას მოდუნების საშუალება არ მისცეს. დიახ, ხელისუფლებას ხალხის უნდა ეშინოდეს და მას ანგარიშს უწევდეს. მთავარი აქ, ეს არის. რასაც მართლა ხალხი ჰქვია, იგი, 8 წელიწადია გარეთ არ გამოსულა. ქუჩაში მარტო „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები გამოდიან და დესტრუქციულ ქმედებებს სჩადიან. ჩვენ, დავანახებთ თუ რამდენი ვართ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც „ნაცების“ მსგავსად არ ფიქრობს.

— დაძინებული ხალხის გამოფხიზლების მუხტი უკვე არსებობს?

— კი, არსებობს. ჩემი აზრით, 9 აპრილს ძალიან ბევრი ადამიანი გამოვა. ვნახოთ, რა იქნება. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ბევრი წერილი მოდის და ვიცი, რომ საკმაოდ ბევრ ადამიანს სურს ამ პროცესში მონაწილეობის მიღება. ეს იქნება სამართლიანი ბრძოლა იმ გუნდის წინააღმდეგ, ვინც უკვე 30 წელია პოლიტიკაშია. ხალხის გარდა, ამ უმსგავსობას ვერავინ დაამთავრებს.

— წელან პატიმრები ახსენეთ. დასავლეთი სანქციებით გვემუქრება.

— არაფერი აღარ ხდება. გუშინ, სულ სხვა განცხადებებს აკეთებდნენ და მინდა გითხრათ, რომ მელია არავის აღარ ახსოვს. მათ შორის, თავის მომხრე უცხოელებსაც აღარ ახსოვთ — კუბილიუსს და ა.შ. ისინიც კი ურჩევენ: პარლამენტში შედით და იქედან იბრძოლეთო. მელიას პატიმრობის გამო არავინ აღარ გამოხატავს აღშფოთებას. შეიძლება თავიდან იყო ასე, სანამ დასავლეთი გაერკვეოდა, რეალურად, რა ხდება. ახლა, ყველა ძალიან კარგად გაერკვა რაშიც არის საქმე. ეს სააკაშვილის და მისი ბანდის კიდევ ერთი, დამატებითი პროვოკაციაა. ეს არის და ეს.

მას უკრაინამაც გასცა, უკვე, თავისი პასუხი. მას არსად აღარ პატიჟებენ, მიგდებულია მარტო და ჰგონია, რომ საქართველოში შეძლებს სიტუაციის არევას. მინდა გითხრათ, რომ არაფერი გამოუვა, რადგან ყველამ იცის რასაც წარმოადგენს. სააკაშვილი ვა-ბანკზე მიდის, ბოლო გაფართხალება აქვს. იფართხალოს რამდენიც უნდა, მაინც ვერაფერს გახდება.

9 აპრილს გამოჩნდება, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის თუ არა. თუ ხალხი გამოვა, ასე თავის ქვეყანას გადაარჩენს, თუ ასე არ მოხდა, მაშინ მანქურთები გავმხდარვართ და აღარ გვქონია ქვეყანა, რა.

— ბატონო გია, დღეს, რა ფერებია ქვეყანაში?

— ფერები არ შეცვლილა, ისევ ის ფერებია — მუქი, მუქი და მუქი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ნაცებო, წადით! გახარია მოდის!

დაიწყება თუ არა იმ ბოსლის გამოწმენდა, ქართული პოლიტიკა რომ ჰქვია?

გიორგი გახარია ახალ პარტიას აფუძნებს.

როგორც ამბობენ, გახარიას გარდა კიდევ ერთი საკმაოდ პოპულარული პოლიტიკოსი „ქართული ოცნების“ ლიდერშიფიდან შექმნის ახალ პარტიას, რითაც, ფაქტობრივად, დაიწყება იმ ბოსლის გაწმენდა, დღეს რომ ქართული პოლიტიკა ჰქვია.

გასულ კვირას ყოფილმა პრემიერმა დადასტურა, რომ პოლიტიკაში ბრუნდება, თუმცა დაბრუნებაზე ლაპარაკი მთლად ზუსტი არ არის, რადგან, როგორც მან თქვა, ის არსად წასულა და როცა არსად არ წასულხარ და აქ ხარ, საიდან უნდა დაბრუნდე?

პრემიერობიდან კი გადადგა, მაგრამ პოლიტიკიდან არ წასულა — როგორც ჩანს, ამის ხაზგასმა უნდოდა გახარიას, როცა ამბობდა, არსადაც არ წავსულვარო.

გახარიას მეორედ მოსვლა ბევრს გაუხარდა, თუმცა ასევე ბევრს ეწყინა და მათ შორის ყველაზე მეტად ეწყინათ ნაციონალებს, რომლებიც ხვდებიან, რომ ქართულ პოლიტიკაში რაღაც ახალი იწყება.

ჩვენი აზრით, იწყება ქართული პოლიტიკის დიდი გადახალისებისა და გადაწყობა-გადალაგების პროცესი, რაც უდავოდ მისასალმებელია.

30 წელია არ გამოწმენდილა ბოსელი, რომელსაც ქართული პოლიტიკა ჰქვია, სადაც იმდენი ნაგავია დაგროვილი, თუ ეს ნაგავი ნაგავსაყრელზე არ გადაიყარა, ქვეყანა დაიწამლება.

ამ ნაგვის გადაყრა და ბოსლის გასუფთავება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძებელი, თუ პოლიტიკურ ასპარეზზე თვისობრივად ახალი პოლიტიკური ორგანიზაციები გაჩნდებიან ახალი იდეებით, ახალი კონცეფციებით და ახალი პლატფორმებით.

გახარია ახალ პარტიას აფუძნებს, თუმცა ახალი პარტიის დაფუძნება კი არ არის მთავარი (საქართველოში პარტიების მეტი რა არის?!) მთავარი ისაა, რა იდეებს და იდეალებს მოემსახურება ეს პარტია.

თუმცა მრავალ მთავარ საკითხთა შორის ყველაზე მთავარი, უმთავრესი და უპირველესი მაინც ის არის, საკუთარი ქვეყნისადმი სიყვარულის რა რესურსი გააჩნია პიროვნებასა თუ პიროვნებათა ჯგუფს, რომლებიც ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნებას აპირებენ.

თუ მხოლოდ არჩევნებში გასამარჯვებლად აპირებ პარტიის შემქნას, რომ მერე ცხოვრება მოიწყო, ბიზნესიააწყო, ასეთი ორას ორმოცდაათი პარტია უკვე გვყავს და შენ 251-ე თუ 252-ე იქნები, ქვეყანას ამით რა ხეირი?

ეყოფა კი ბატონ გახარიას სიყვარულის რესურსი საკუთარი ქვეყნისა და პოლიტიკური პარტიების მიერ დაგლეჯილ-დაკორტნილი ქართველი ხალხის უანგარო და თავდადებული სამსახურისთვის და თავგანწირვისთვის?

ვნახოთ, დრო ყველაფერს გვიჩვენებს, დრო ყველაფერს დაალაგებს, მანამდე კი ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ, როგორც არ უნდა იყოს, გიორგი გახარიას მიერ დაანონსებული პარტიის შექმნა უსათუოდ გამოაცოცხლებს ქართულ პოლიტიკურ ყოფას და

მეტ დინამიურობას და კონკურენციას შემატებს.

როგორც ვთქვით, გახარიას დაბრუნება პოლიტიკაში „ნაცმოძრაობის“ და მის სატელიტ პარტიებს ძალიან არ გაუხარდათ.

მელიას დაკავებაზე უარის თქმის გამო ლამის გმირად შერაცხული გახარია უცებ იქცა ისევ „თვალთხარიად“.

— 20–21 ივნისის მშვიდობიანი აქციის დარბევის გამო კითხვები გვაქვს გახარიათან. ჯერ ამ კითხვებზე უპასუხოს გახარიამ და პარტია მერე დააფუძნოსო, — ყაყანებენ ნაცები და მათი კუდები.

20–21 ივნისის ამბებთან დაკავშირებით ჩვენც გვაქვს კითხვები. მოდით, ჯერ ამ კითხვებს უპასუხეთ და მერე იქოთქოთეთ, თქვე ურცხვებო.

— რატომ არის მშვიდობიანი აქცია, რომლის მიზანია პარლამენტში შეჭრა და ამ მიზნის მისაღწევად მისმა მონაწილეებმა სამჯერ რომ მიიტანეს შტურმი პარლამენტის შენობაზე?

ზუსტად იგივე ქმედება აშშ-ში შიდა ტერორიზმად შეფასდა და მისი მონაწილეები უმკაცრესად დაისაჯნენ.

რაც აშშ-ში შიდა ტერორიზმია, რატომ არის საქართველოში მშვიდობიანი აქცია?

ნაცებს და მათ მოკავშირეებს 20–21 ივნისის ამბები კი არა სულ სხვა რამე აწუხებთ.

მათ იციან, რომ ახალი პარტიების გამოჩენამ პოლიტიკურ ასპარეზზე შეიძლება მათი სრული გაბანკროტება გამოიწვიოს, მერე კი თუ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება, ეს არჩევნები მათ დამოკლეს მახვილივით დაეკიდება თავზე.

ასე რომ, რიგგარეშე არჩევნები შეიძლება ის საფლავი აღმოჩნდეს, რომელსაც საკუთარი ხელით ასე მონდომებით თხრიან წერას ატანილი ოპოზიციონერები.

ქართულ პოლიტიკაში საინტერესო ამბები იწყება.

ნაცებო წადით, გახარია მოდის!

მიმომხილველი

კაცობრიობა ციფრულ-ეპიდემიოლოგიური დიქტატურისკენ მიდის, რაც საბედისწეროდ აისახება საქართველოზეც

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე:

— ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, ქართულ პოლიტიკაზე დღეს რა ძალები ახდენდენ გავლენას?

— პირველი, ეს არის არასამთავრობო სექტორი, რომლის დაფინანსებაზე, სხვათა შორის, დიდწილად არის დამოკიდებული მთელი ოპოზიციური მოძრაობა, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებში გადარიცხული თანხების გარკვეული ნაწილი გადაედინება ტელევიზიებში, მედია კი გახლავთ საქართველოს ოპოზიციის არსებობის ერთადერთი საშუალება. სხვაგვარად იგი არ არსებობს. ოპოზიცია საქართველოში არის, როგორც მედიაპროექტი.

თანხები, ძირითადად, მოდის სოროსის ფონდიდან და ამ ფონდთან აფილირებული ქსელებიდან, დასავლეთის სხვადასხვა საელჩოდან, ევროკავშირიდან და აშშ-დან. მიღებული თანხები გადაედინება მედიაში და პოლიტიკურ სპექტრში. საუბარია ათეულმილიონობით დოლარზე ყოველწლიურად.

რუსეთის მხრიდან ოპოზიციის მხარდაჭერის და მით უფრო, დაფინანსების აქტივობა საქართველოში არ ჩანს, თუმცა რუსული სპეცსამსახურები, სავარაუდოდ, მუშაობენ სიტუაციის თავიანთ სასარგებლოდ განსავითარებლად.

აქვე არ დაგვავიწყდეს ჩვენი მეზობლები — თურქეთი და ირანი.

ამ სიტუაციაში ე.წ. ექვსეულის თურქეთი-ირანი-რუსეთი-აზერბაიჯანი-სომხეთი-საქართველოს პროექტის განხორციელების პერსპექტივა მოსვენებას არ აძლევს აშშ-ს, რაც ევრაზიაში ძალთა გადაჯგუფების წინაპირობა იქნება. აღნიშნული პროექტი თუ განხორციელდა, ეს იქნება შტატების დასასრული ევრაზიაში. ყოველივე ეს, ბუნებრივია, კატეგორიულად მიუღებელია აშშ-ისთვის და საწინააღმდეგოდ ისინი აქ თავიანთ ინსტრუმენტებს იყენებენ.

— კერძოდ, რა ინსტრუმენტებია ეს?

— საქართველო უნდა იყოს იმ ე.წ. „ცეცხლოვანი სარტყელის“ ერთ-ერთი ნაწილი, რომელსაც ისინი რუსეთის გარშემო ხაზავენ, იგივე, „ანაკონდას რკალი“, დისკონტური სარტყელი, ლინზ, როგორც რგოლი, ნატოს გაფართოების კონცეფცია და ა. შ.

ახლაც იგივე სცენარის განხორციელება სურთ, როგორც, მაგალითად, 2014 წელს მიმდინარეობდა საუბრები, რომ სამხედრო მხარდაჭერა გამოგვეჩინა უკრაინაში მიმდინარე პროცესებისთვის. ამისთვის კი, საჭიროა, ისეთი ხელისუფლება იყოს საქართველოში, რომელიც პრობლემებს შეუქმნის რუსეთს, რათა მან მეტი რესურსი დახარჯოს და არ იყოს სიმშვიდე სამხრეთ კავკასიაში. ამისთვის იგზავნება ის უზარმაზარი თანხები, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

სომხეთის საკითხიც ზუსტად ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

დასავლეთი და აშშ არ გაჩერდებიან და არც სომხეთში შეწყდება დუღილი ისევე, როგორც საქართველოში.

— სააკაშვილი რა როლს თამაშობს ამ პროცესებში?

— სააკაშვილი, ჩემი აზრით, თავის დროზე რუსეთის სპეცსამსახურების გავლენაში იმყოფებოდა, მისი ზედმეტსახელებიც ცნობილია, მაგალითად, **«Буйвол»** და სხვ. თუმცა, როგორც ცნობილია, სსრკ-ის დროინდელი კადრები გადაბირებული იქნენ. ამასთანავე, რუსეთში, როგორც ჩვენთან, არ არის ერთგვაროვანი სიტუაცია და სააკაშვილიც აფილირდა რუსეთის ლიბერალურ ძალებთან.

ეს ძალები პირდაპირ კავშირში არიან იმ მსოფლიო საფინანსო სისტემასთან, რომელიც განაპირობებს მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოველმოქმედებას. თუმცა უკვე ამ სისტემის რღვევა მიმდინარეობს, რასაც აუცილებლად მოჰყვება უდიდესი მსხვერპლი, ომები და უბედურებები. ამის აშკარა გამოხატულებაა პანდემია და მასთან დაკავშირებული პროცესები.

ციფრულ-ეპიდემიოლოგიური დიქტატურისკენ მიდის კაცობრიობა.

ქაოსი, რაც მთელ მსოფლიოშია შექმნილი, ჩვენთანაც აისახება ისე, როგორც წვეთში აისახება ოკეანე — ერთი მხრივ, გვაქვს მუმლის, კრაზანების ბუდე, რომლებიც არ ფიქრობენ, მათი დამანგრეველი მოქმედებების შედეგად რა შეიძლება მოხდეს, მეორე მხრივ, სახელმწიფოს სათავეში მოქცეული ადამიანები, რომელთა არაეფექტური მოქმედებების გამო მუხა — სახელმწიფო ხე, არის გამოშიგნული, დასუსტებული და ხალხი ვდგავართ სცილასა და ქარიბდას შორის ოპოზიციისა და ხელისუფლების შემყურე. ჩვენ ვცდილობთ, ხე არ წაიქცეს, რადგან ყველა ამ ხეზე ვზივართ, მაგრამ, რა ვქნათ, როცა ესენი არ იღლებიან დესტრუქციული მოქმედებებით?!

რაზე უნდა ილაპარაკო, საერთოდ, რომელ პროდასავლურ პოლიტიკოსობაზე, როცა სააკაშვილმა და მისმა „ნაცმოძრაობამ“ საქართველოში არსებული ძირითადი სტრატეგიული ობიექტების უმრავლესობა რუსულ კომპანიებს მიჰყიდეს.

— აქ სააკაშვილის, როგორც თქვენც თქვით, დღევანდელი პატრონები, რუსი ლიბერალები, სად ჩანან, რა გარიგება შეიძლება ყოფილიყო ეს?

— ქართული აქტივები, რომლებიც შეისყიდეს რუსულმა კომპანიებმა, არ არის წმინდად რუსული. მათი მთელი კაპიტალი დასავლეთთან არის მიბმული, ხოლო რუსული ოლიგარქატი, რომლებმაც შეისყიდეს საქართველოში არსებული სტრატეგიული კობიექტები, ოფშორებთან არიან დაკავშირებული. ოფშორებს კი აკონტროლებს ბრიტანეთის საგარეო დაზვერვა. ამ აქტივებისადმი მხარდაჭერა არის რუსეთზე კონტროლის ეფექტური მექანიზმი. კონკრეტულ შემთხვევაში, მიზანი ერთია: რუსეთმა ვერ

უნდა მოახერხოს სამხრეთ კავკასიის მეთვალყურეობა. აქ მთავარია საქართველო, რადგან სამხრეთ კავკასიის ცენტრი სწორედ საქართველო გახლავთ.

მაგრამ, ერთი წუთით წარმოიდგინეთ: რომ არ ყოფილიყო აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემა, როგორი ურთიერთობა გვექნებოდა რუსეთთან?!

რაც მოხდა, სწორედ ეს იყო სპეცსამსახურების მიზანი.

სეპარატისტულ რეგიონებში მოხდა ის, რაც ხელს აძლევდა, პირველ რიგში, დასავლეთს და შედეგად, ყველაზე მეტად დავზარალდით ჩვენ.

ბევრი ფაქტორის ზემოქმედებით, საბოლოო ჯამში, ქართველთა რაოდენობა შემცირდა ორჯერ, იგივენაირად, როგორც, დაახლოებით, თემურლენგის შემოსევების დროს.

ე.წ. დამოუკიდებლობის გამოცხადების მერე, ელემენტარულად, ამოვწყდით და დემოგრაფიული კატასტროფის ინერციას დღემდე ვერ ვაჩერებთ.

აღარ გვაქვს აღარც ეკონომიკა, აღარც განათლება, აღარც კულტურა და საერთოდ, ვიმყოფებით სრულ დეგრადაციაში.

სიტუაციას ართულებს რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობა. რაც ერთი და იგივე ძალის მიერ იყო ინსპირირებული და წარმოადგენდა გეოპოლიტიკურ ამოცანას, განდევნილიყო რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან.

სააკაშვილი რაში სჭირდებათო, მკითხეთ.

სააკაშვილის არსებობის პირობებში, შეუძლებელია საქართველოსა და რუსეთს შორის თუნდაც რაიმე სახის კომუნიკაცია და ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დასავლეთისთვის. ეს არის რეგიონის გეოპოლიტიკური ამოცანის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი და სააკაშვილი აქ არის ინსტრუმენტი.

— დასავლეთი საქართველოს მეგობარი და მხარდამჭერი არ გამოდის? ანუ თავისი ინტერესებისთვის გვიყენებს?

— დასავლეთი არის ჩვეულებრივი გეოპოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც მოქმედებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ეს არ არის პარადოქსი. ასეა მიღებული სამყაროში და ჯერჯერობით, ასე მოქმედებს ნებისმიერი დიდი სუპერგაერთიანება. ამაში გასაკვირი არც არაფერია.

ყოველივე ამას ჩვენ ობიექტურად უნდა ვუყურებდეთ. ობიექტურობა მოითხოვს, რეალურად აღვიქვათ ფაქტები და მოვლენები და არა ილუზორულად.

სააკაშვილი რუსული „სადგისია“, მაგრამ რუსეთის საწინააღმდეგოდ თუ გამოიყენებენ, რატომაც არა?!

როგორადაც მოქმედებს, ყველა ვხედავთ და მიუხედავად უამრავი დანაშაულისა, მაინც თავისუფალია. მას, რა თქმა უნდა, იცავენ. მისნაირი ტიპის პოლიტიკური ცხოველის გაზრდა საკმაო დროს მოითხოვს.

— და ამ „ცხოველით“ მოხიბლული არიან მისი გულშემატკივრები აქ და, სხვათა შორის, უკრაინაშიც.

— ესენი პროვინციალები არიან. მათ მოსწონთ, რომ მათი კერპი, მიუხედავად მორალური და ზნეობრივი სიმახინჯეებისა, თეთრ სახლში, იქ, ამერიკა-ევროპაში, „დიდ ბიძიებთან“ არის დაფასებული.

მერე რა, რომ ის გარეწარია, მატყუარა, მშიშარა, ლაჩარი და სასტიკი, ის ხომ დიდ საჰიბებთან, დიდ ბატონებთან არის მიღებული? მას დარბაზის კარზე იღებენ. ეს არის პროვინციალიზმით შეპყრობილი, გონებადახშული მრევლის მთავარი არგუმენტი სააკაშვილისადმი სიყვარულში.

— ბატონო სოსო, ამ დღეებში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი კრისტიან დანიელსონი იყო ჩამოსული საქართველოს შიდა პრობლემების დალაგებაში დასახმარებლად, თუმცა შედეგი მაინც არ დადგა, რა ხდება სინამდვილეში?

— ამ მოლაპარაკებებზე, ფაქტობრივად, განმეორდა „ჩიტო, ჩიტო, ჩიორას“ ისტორია. ხელისუფ-

ვის ეძახით თქვენ მონებს, თავად მონებო!

სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ – რუსეთის მონები და ხელისბიჭები, რომლებმაც ნახევარი საქართველო რუსებზე გაასხვისეს

ლებამ სულ ტყუილად „გადაყარა ბარტყები“. შედეგი იყო ნული.

„ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი დაუთმო ოპოზიციას, რისი დათმობაც შეიძლებოდა, მაგრამ, ბოლო მომენტში, პატივცემულმა აკო მინაშვილმა მაინც უარი თქვა. მოგეხსენებათ, მინაშვილი ამ მოლაპარაკებებში სააკაშვილის უშუალო დირექტივით ჩაერთო, ის მისი პოზიციის გამხმოვანებელი გახლდათ.

მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ გამოვიდა „სიბრძნით გამორჩეული“ მარგველაშვილი, „ახალი სოკრატე“ და ბრძანა, საქართველოში დემოკრატია უკან მიდის, აშშ-ის ქმედითი ჩარევაა საჭიროო.

საქართველოში, რა თქმა უნდა, მის პიროვნებას სერიოზულად არავინ განიხილავს, მაგრამ რეგალიებით მარგველაშვილი საქართველოს ექს-პრეზიდენტია, ამიტომ მესიჯი ამერიკელებისთვის სერიოზულად აღიქმება. ჩვენთან, ცხადია, მარგველაშვილს დუშეთის რამდენიმე მაცხოვრებლის გარდა არავისზე არ აქვს გავლენა, მაგრამ ამერიკის სენატში არ იციან მისი სიბრიყვის შესახებ.

— ხელისუფლებას არც პოლიტპატიმრების თემა დაუთმია და არც საპარლამენტო არჩევნების...

— დიახ, და ამის გამო გამოაცხადა უარი აკო მინაშვილმა. „ქართული ოცნება“ ამაზეც რომ დათანხმებულიყო, ეს ნიშნავდა ხელისუფლების ნებაყოფლობით ლიკვიდაციას.

„ქართული ოცნების“ ნარატივი ისაა, რომ მან ჩაატარა დემოკრატიული არჩევნები გაყალბების გარეშე, არ ჰყავს პოლიტპატიმრები, ანუ დემოკრატიული ხელისუფლებაა, მაგრამ თუ იტყვის, რომ ჰყავს პოლიტპატიმრები, ანუ პოლიტიკურ მართლმსაჯულებას ახორციელებს, განაცხადებს, რომ გააყალბა არჩევნები, მაშინ ვადამდელი უნდა დანიშნოს, ანუ საკუთარი თავი უნდა დაიდანაშაულოს. სხვა საფუძველი ვადამდელ არჩევნებს არ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თვითმკვლელობა უნდა განახორციელოს. „ნაცმოძრაობა“, ამ ხნის განმავლობაში, სულ ცდილობდა ხელისუფლება ამ კონდიციამდე მიეყვანა.

მოლაპარაკებიდან გამოსულ დანიელსონს აშკარად შეშლილი სახე ჰქონდა.

დასავლეთს არ სურს აქ არეულობა. მით უფრო, რომ ჩვენთან აშკარაა დღეს საფრანგეთის პოლიტიკური გავლენები. საფრანგეთი, მოგეხსენებათ, ევროპაში პოლიტიკური დომინანტია. ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება საფრანგეთის კეთილგანწყობით სარგებლობს. ბოლოს და ბოლოს საფრანგეთში დაბადებული და გაზრდილი პრეზიდენტი გვყავს. მმართველი პარტიის დამფუძნებელი საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერია.

რაც შეეხება დანიელსონს, მას, სავარაუდოდ, ჰქონდა დირექტივა, რომ შეთანხმება მოეხდინა საქართველოს პოლიტიკურ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის; არ წავალ საქართველოდან, სანამ შეთანხმებას არ მივაღწევთო, მაგრამ ვერ გაუძლო შექმნილ ვითარებას. ჩვენ უკვე მიჩვეული ვართ გრიგოლიაგვარამიას პოლიტიკურ შოუებს, ამ საშინელ პანოპტიკუმს, ზოოპარკს, მაგრამ დანიელსონის შვედური გონებისთვის, როგორც ჩანს, ეს საკმაოდ მძიმე აღსაქმელი იყო. მას თავიდან თუ აბსოლუტურად დალაგებული სახე ჰქონდა, ორიოდე დღეში ის სავსებით დინამიური გაუხდა, აშკარა შეშფოთებას გამოხატავდა მისი არაბალანსირებული მიმიკები...

— რით შეიძლება დასრულდეს ყოველივე ეს, ბატონო სოსო?

— მართალი გითხრათ, პროგნოზი არ მაქვს, მაგრამ ვვარაუდობ, რომ ყოველივე ამას დასასრული არ ექნება, სანამ საქართველოში არ ჩატარდება პოლიტიკური სისტემის სრული რეფორმა.

დღევანდელი საპარლამენტო მოდელი არის კომიკური. ასე პარლამენტი ნორმალურად ვერ დაკომპლექტდება. ამაზე არაერთხელ ვისაუბრე, თუნდაც თქვენი გაზეთის ფურცლებიდან.

საკონსტიტუციო რეფორმა ხელახლა არის ჩასატარებელი, დასახვეწია საარჩევნო სისტემა და თუ ეს არ განხორციელდა, საქართველოში არასდროს არ იქნება სტაბილური განვითარების შესაძლებლობა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ვითომ ძალიან დაეწვა გული მიხეილ სააკაშვილს, ამ „ჟულიკს“ და ნამახვან-ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით მოსახლეობის უკმაყოფილების გამოყენებას კიდევ ერთხელ შეეცადა, რადგან ძვალრბილში გამჯდარი რევოლუცია, გადატრიალება და ქაოსი მოსვენებას არ აძლევს. იცის, ბიჭმა, არჩევნებით მაგას არავინ აღარ დააბრუნებს საქართველოში, მით უფრო, ხელისუფლებაში. არადა, ახლა ეს სცენარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მისთვის და მისი მორალურ-პოლიტიკურად განადგურებული კრიმინალური გაერთიანებისთვის.

არ მოვერიდები მათ მოხსენიებას კრიმინალებად, ჩადენილი არაერთი სისხლიანი დანაშაულის გამო და იმის გამოც, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

მანამდე, ნიკუტა გვარამიას განცხადებას შეგახსენებთ — „მთავარის“ წამყვანის გიორგი გაბუნიას რუსეთის ხელისუფლებისგან შეკვეთილ მკვლელობაზე რომ იყო საუბარი და გვარამიამ რომ განაცხადა: მე ვიცოდი, პუტინი „ჩვენი გაბუს“ — გიორგი გაბუნიას მკვლელობას გეგმავდაო.

ნიკუტას უყვარს ხუმრობა, მაგრამ არ მგონია, ასეთი მავნე ხუმრობა ეთქვა იმ დღეს ეთერში და თუკი იცოდა, მაშინ ის არის საკითხავი, საიდან იცოდა გაბუნიას მკვლელობას რომ გეგმავდნენ — რუსულ სპეცსამსახურებთან ხომ არ აქვს კავშირი და მათგან ხომ არ ჰქონდა ეს ინფორმაცია?!

ეს, ცხადია, თავად ნიკუტას უნდა ჰკითხონ შესაბამისმა ორგანოებმა. მაგრამ, არავის უკითხავს...

არც ის უკითხავს არავის, საიდან გაჩნდა რუსეთისადმი ვითომ მოსისხლე მტრულად განწყობილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მაღალჩინოსნად რუსეთის მოქალაქე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი გრიშა ვაშაძე და სხვები და სხვები.

არც ის უკითხავს ვინმეს, რატომ ჩამოიყვანა საქართველოში ნაციონალების პროდასავლურმა ხელისუფლებამ და თავად „დემოკრატიის შუქურამ“ და ჩირაღდანმა მიშამ 2004 წელს, „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე თვეში ძირეული ეკონომიკური რეფორმების ჩასატარებლად რუსეთის მოქალაქე და მთელი ცხოვრება რუსეთთან დაკავშირებული კახა ბენდუქიძე, რომელმაც პირწმინდად გააჩანაგა და გაყიდა ქართული ეკონომიკა და საქართველოს სახელმწიფო ქონება და ბოლოს და ბოლოს, არც იმას ითვალისწინებს ბევრი, სააკაშვილმა მთელი ყმაწვილკაცობა რუსეთის კგბ-ს ჯარების სამსახურში რომ გააატარა, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, ვსიო კ ჩორტუ, დღევანდელ დღეს შევხედოთ: ამათმა, ამ ვითომ პროდასავლელმა პოლიტიკოსებმა, ახლა ოპოზიციიდან რომ უყიჟინებენ „ქართულ ოცნებას“ და მის მხარდამჭერებს, რუსეთუმეები ხართ და რუსის მონებიო, ვინაა რუსების მონა, „ოცნება“, რომელსაც არაფერი გაუყიდია თუ ნაცები, რომლებმაც რუსებს მიჰყიდა საქართველოს ტერიტორიის 20% — კოდორი, ახალგორი, მთელი ცხინვალის რეგიონი და სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილი. პოლიტიკურ ვაჭრობაზე, ანუ ქართული მიწის ომით „გაპრავებულ“ ყიდვა-გაყიდვაზე ახლა არ ვისაუბრებ, ბევრჯერ მითქვამს და თავს აღარ შეგაწყენთ.

ამჯერად კიდევ ერთხელ იხილეთ სტრატეგიული ობიექტების ჩამონათვალი და კვლავაც დარწმუნდით სააკაშვილის აფერისტობაში, თითქოსდა საქართველოზე ან ნამახვანის ჰესის აშენებაზე გული შესტკიოდეს. სააკაშვილის ხმას აყოლილმა მისმა ჭკუადაბინდულმა მრევლმაც მინდა ყურადღებით წაიკითხოს ეს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას რომ გამყიდველს და რუსეთის მონას ეძახის, თავისი ბელადის ჩასვრილ-ჩაბინძურებულ სულს მიხედონ ჯერ, სხვისკენ ხელის გაშვერის მაგივრად.

ენგურჰესი – რუსული კომპანია „რაოესი“;

ჟინვალჰესი – რუსული კომპანია „რაოესი“;

რიონჰესი – რუსული კომპანია „ენერჯი ინვესტი“;

გუმათი 1 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;

გუმათი 2 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;

ლაჯანურჰესი – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;

შაორჰესი – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;

ვარციხე1 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;

ვარციხე 2 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;

ვარციხე 3 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;

ვარციხე 4 – რუსული კომპანია „ენერგო პრო“;

ხრამი 1 – რუსული კომპანია „რაოესი“;

ხრამი 2 – რუსული კომპანია „რაოესი“;

ხრამი 3 – რუსული კომპანია „რაოესი“;

ხრამი 4 – რუსული კომპანია „რაოესი“;

ხრამი 5 – რუსული კომპანია „რაოესი“;

ყაზტრანსგაზ თბილისი – რუსული კომპანია „გაზპრომი“;

გაზ.კომპანია „იტერა“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია;

შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია;

გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი – რუსული კომპანია „ინტერ რაო“;

გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი – რუსული კომპანია „ინტერ რაო“;

მაღალი ძაბვის გადამცემი 500 კილოვატიანი ხაზები – რუსული კომპანია „ინტერ რაო“;

„მადნეული“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;

„კვარციტი“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;

საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან „რუსეთის რკინიგზა“;

კომპანია “ბილაინი” – რუსული კომპანია;

„აზოტი“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;

„გაერთიანებული ქართული ბანკი“ – რუსული კომპანია „ვითიბი“;

„ლუკოილ ჯორჯია“ – რუსული კომპანია „ლუკოილი“;

ზესტაფონის „ფერო“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;

ელმავალთმშენებელი ქარხანა – რუსული კომპანია „დემა კომპიუტერი“;

არამიანცის, თბილისის 3№ 1 საავადმყოფო – რუსული კომპანია „ბატუსი“;

თბილისის წყალი – რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერი“.

დიახ, ეს ყველაფერი სააკაშვილმა და მისმა „პატრიოტთა“ გუნდმა ოკუპანტ რუსეთს 2004-იდან 2012 წლამდე მიჰყიდა. ამის გამკეთებელი ხალხი ხელისუფლებაში დაბრუნებას ცდილობს და რუსეთუმეობას სხვას აბრალებს. ვიღაცისთვის ეს სასაცილო შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენთვის, დამეთანმხმებით, სატირალია.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ევროპული მედიაციით ჩატარებული შეხვედრები, ჩემი აზრით, წარუმატებელი გახლდათ და თავიდანვე განწირული იყო ჩავარდნისთვის

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკება არ შედგა. მოდით, ამას უფრო გლობალურად შევხედოთ. ეს, რუსეთსა და დასავლეთს შორის ჭიდილია საქართველოს გამო?

— იცით რა, ამ მხრივ, ვერ ვიტყვით, რომ ეს რუსეთსა და დასავლეთს შორის ჭიდილია. ამ შემთხვევაში, ჩვენ, უნდა გვქონდეს სრული, საიმედო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება პრო-რუსულია, ხოლო ოპოზიცია პრო-დასავლური. ვინაიდან ამის შესახებ სანდო მტკიცებულება არ გაგვაჩნია, ასე ვერ ვიმსჯელებთ. მმართველი პარტია გვარწმუნებს, რომ იგი პრო-დასავლური კურსის მატარებელია და მისი მიზანია ნატო, ევროკავშირი და ა.შ. 2024 წელს ევროკავშირში განაცხადს შეიტანენ. ამიტომ, ამაზე ვერ ვიმსჯელებთ. ჩვენ, შეიძლება ვისაუბროთ შემდეგზე: ევროპის მედიაციით შემდგარი შეხვედრა, აბსოლუტურად, მოუმზადებელი გახლდათ და თავიდანვე განწირული იყო ჩავარდნისთვის. ამიტომ, პირადად ჩემთვის მოულოდნელი არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ შეხვედრა მოუმზადებელი იყო. ევროკავშირის პრეზიდენტის ჩამოსვლას არავინ ელოდა. უცებ, ჩამოვიდა და რატომღაც, თვითდარწმუნების მომენტიც ძალიან დიდი იყო. ევროპელებმა ცუდად იცოდნენ, რა სახის წინააღმდეგობა არსებობს, დღეს, ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის. ისინი გვეუბნებოდნენ: მიშელმა ბელგიაში რაღაც საოცრება გააკეთა. მათ, წელიწადზე მეტი არ ჰყავდათ მთავრობა. უცებ, საქმეში მიშელი ჩაერია და დაპირისპირებული პარტიები შეარიგა. არგუმენტაცია იმის შესახებ, რომ რაც მან ბელგიაში მოახერხა, იგივეს აქაც გააკეთებს, არავითარ საფუძველს არ ეყრდნობოდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ მიშელს ბელგიაში საქმე ჰქონდა ევროპელებთან. საქართველოში ჩამოვიდა და აქ, საქმე ჰქონდა ადამიანებთან, რომელთა პოლიტიკური კულტურა, ორივე მხარის მეტ-ნაკლები განსხვავებით, ევროპულ რეალობასთან ახლოსაც ვერ მივა. მან, აქ, ნახა აზიური (ცუდი გაგაებით), პოლიტიკურ კულტურას, აბსოლუტურად, მოკლებული რეალობა. ევროკავშირს ხომ ელჩი ჰყავს თბილისში. მიშელს სანამ აქ ჩამოვიდოდა, მისგან მასალები უნდა მოეთხოვა. თუნდაც, ელემენტარულად, კობახიძის განცხადებებს გაცნობოდა. 2012 წლის შემდგომ პოლიტიკაში ფიგურანტები ხომ არ შეცვლილა — ეს გახლავთ „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“. მიშელს უნდა შეესწავლა მათი ურთიერთობა ამ დრომდე. სამ-ოთხ დღეში მოინდომეს ამ პარტიების შერიგება. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა გამოცდილი პედაგოგი მესამე კლასელ ბავშვებს რომ არიგებს, რომელთაც სკოლის ეზოში იჩხუბეს: აბა, ახლა, ჩამოართვით ხელი, მათაც — ჩამოართვეს; აბა, ახლა, გადაკოცნეთ ერთმანეთი — გადაკოცნეს; ახლა, ერთ მერხთან დაჯექით და მეგობრობა გააგრძელეთო. მიშელი აი, ასეთი შთაბეჭდილებით ჩამოვიდა. ეს დიდი შეცდომა იყო. მეორე შეცდომა ის გახლდათ, რომ დიპლომატიას საჯაროობა არ უყვარს. საკმარისი არ არის ის, რომ მომლაპარაკებელი მხარეები დააფიცეს, მოლაპარაკების შინაარსზე არაფერი თქვათო. ამ დროს, ყველამ იცოდა რა საკითხებზე უნდა ემსჯელათ. ქართული პრესა კი, რომელიც თავისი დონით ძალიან შორს არის ევროპულისგან, მხოლოდ ინტრიგებითა და სკანდალებით იკვებება. ამიტომ, შეხვედრაც კონფიდენციალური აღარ გამოვიდა. კონფიდენციალური გახლდათ 1973 წელს შეხვედრა ოსლოში, როდესაც ისრაელისა და პალესტინის თაობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ერთ მხარეს იყო რაბინი, მეორე მხარეს — არაფატი. მოლაპარაკება 4–5 თვე გრძელდებოდა და ამის შესახებ არავინ იცოდა. ევროპელმა პაპარაცებმაც კი, რომლებიც, ლამის, ლოგინქვეშ ძვრებიან, ვერაფერი გაიგეს. საბოლოო ჯამში, მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა და რაბინიც და არაფატიც ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ. ჩვენთან, მსგავსი არაფერი ყოფილა. ევროპას, იგივე, მიშელს უნგრეთიც ეყოფა თავზესატეხად, ასევე, ესპანეთი თავისი პრობლემებით და ა.შ. გარდა იმისა, რომ ისინი, ყველანი ევროპელები არიან, კომპრომისზე წასვლა მათ არსებობას საფრთხეს არ უქმნის. ჩვენთან კი რა საკითხზე მიდის დავა? — ხელისუფლების შეცვლაზე. ყველამ ვიცით ოპოზიციის მიზანი რაც არის — არა ის, რომ ქვეყანა ერთად მართონ. არა! მათ სურთ, რომ ხელისუფლება ჩაანაცვლონ. რას ნიშნავს ქართულად ჩანაცვლება? ეს არ გახლავთ ევროპული ჩანაცვლება, სადაც რომელიმე პარტია არჩევნებს წააგებს და ამას მშობიარობასავით არ განიცდის, რადგან მას უახლოეს არჩევნებში რეალური შანსი აქვს მოსახლეობის გული მოიგოს და კვლავ გაიმარჯვოს. ეს ევროპის კლასიკაა. კი, ჩერჩილმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, 1945 წელს არჩევნები წააგო და ლეიბორისტები მოვიდნენ, მაგრამ ისინი მხოლოდ ერთი ვადით მართავდნენ ქვეყანას, მერე, ისევ ცვლილება მოხდა. ჩვენთან როგორი პრაქტიკაა? — ერთი შეცვლა განხორციელდა, რომელიც ევროპულს ჰგავდა. ეს გახლდათ 2012 წლის არჩევნები. ჩვენთან, დაპირისპირების მთავარი პრინციპი თავიდანვე დაირღვა. ბრძოლაში აუცილებელია შეურიგებლობა და სიმკაცრე. მაგრამ როცა ბრძოლა დამთავრდება და მშვიდობიანი პერიოდი დაიწყება, მაშინ, უკვე, შეურიგებლობას თანამშრომლობა, კომპრომისები, მიმტევებლობა ცვლის, ვინაიდან ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას საჭიროებს. ჩვენთან, ეს, გამორიცხულია. შურისძიების ფაქტორი ყველაზე საშიშია. ეს ემოციაც არ არის, არამედ ინსტიქტი და ასე, მხოლოდ ცხოველი მოქმედებს. ჩვენ, პოლიტიკური შურისძიების ისტორია, ტრადიცია გვაქვს. ერთი მეფე ქვეყნის სათავეში რომ მოვიდოდა, მეორეს თვალებს თხრიდა, ერთმანეთს ხოცავდნენ. გამსახურდია ძალით გადააგდეს და რა მერე, შერიგდნენ? დღესაც არის ეს ფენომენი — ზვიადისტები და შევარდნაძისტები. ახლა, უკვე, გვყავს მიშისტები და ბიძინისტები. ამიტომ, მათი შერიგება, პრაქტიკულად, თავიდანვე, გამორიცხული იყო. ეს შეიძლებოდა, მაგრამ არა ევროპელების ჩარევით. რატომ? — მე არ ვარ პოლიტიკოსი, პოლიტკორექტულობის ბორკილები არ მადევს და შემიძლია ვთქვა: დღეს, ლიდერები პრინციპებისთვის, იდეალებისთვის არ იბრძვიან.

— ბატონო, სოსო, რა შეიცვალა ამერიკის არჩევნების შემდეგ მსოფლიოში?

— 2020 წლის ამერიკის არჩევნების შემდეგ, ცივილიზებული დასავლეთი გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. ბაიდენმა პრინციპების ერთგულების ტრადიციული, ამერიკული, ობამასდროინდელი კურსი აიღო. ტრამპს შიშველი პრაგმატიზმი ჰქონდა. ბაიდენი, დღეს, იდეოლოგიზირებულია, მისთვის მთავარია იდეები. ვიცით, რომ საუდის არაბეთი ამერიკისთვის, ტრადიციულად, რეგიონში, ისრაელთან ერთად, ნომერ პირველი მოკავშირეა. ბაიდენმა, უკვე, გაიფუჭა საქმე საუდის არაბეთთანაც და ისრაელთანაც. იმიტომ, რომ ერთსაც და მეორესაც პრინციპებით უდგება. კი, საუდის არაბეთი ამერიკისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო საყურადღებოა ადამიანის უფლებები. 1997 წელს ტრამპმა „ფოქს ნიუს“-ს ინტერვიუ მისცა. კომენტატორი შეეკითხა: პუტინი მკვლელიაო? ტრამპმა უპასუხა: მე, პატივს ვცემ პუტინს. მკვლელები მსოფლიოში ძალიან ბევრია, ჩვენთანაც არიანო. მაგრამ ბაიდენმა პირდაპირ თქვა: პუტინი მკვლელიაო. ნახეთ, რა ამბავი ატყდა. ეს რას ნიშნავს? — ბაიდენი იდეალებს მიჰყვება, ევროპა კი ისევ — ინტერესებს. ამაზე მეტყველებს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გერმანიის „ჩრდილოეთის ნაკადი — 2“. თვით ტრამპმაც კი, რომელიც პრაგმატიკოსი იყო, კომკავშირელ გოგოს — მერკელს ვერაფერი მოუხერხა. ყველამ იცის, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ით ევროპა, ძალიან დიდი ხნით, რუსეთის გავლენის ქვეშ ექცევა. მაგრამ, ეს, გერმანიისთვის ფინანსურად მომგებიანია. გაზსადენის ჰაბი გაკეთდება და გერმანია გამნაწილებელი იქნება. გერმანიას, დღეს, არ აინტერესებს იდეალები. ევროპა ამ გზით მიდის. ამიტომაც არის, რომ ბაიდენმა ევროპასთან შერიგების ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მისი კურსი მაინც უფრო იდეოლოგიზირებულია, ევროპის კი — უფრო ინტერესებზეა დაყრდნობილი.

— ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, რას შეცვლიდა ევროპის ნაცვლად ამერიკელი მედიატორები რომ ჩამოსულიყვნენ მოსალაპარაკებლად?

— ეჭვი არ მეპარება, ამერიკელი მედიატორები რომ ჩამოსულიყვნენ, მოლაპარაკება სულ სხვაგვარად დამთავრდებოდა. ოპოზიციის აზრით, ევროპელების ზეწოლა საკმარისი არ იყო. დიახ, საკმარისი არ იყო. წარმოგიდგენიათ, ღარიბაშვილი ბრიუსელში ამბობს: არავითარი ვადამდელი, არჩევნები 2024 წელს ჩატარდებაო და ამ დროს, თბილისში მოლაპარაკებას აწარმოებ — იქნება თუ არა ვადამდელი არჩევნები. ეს უკვე სიყალბე, პირფერობაა. ეს არ არის დიპლომატია. შვედი დიპლომატი რისთვის დატოვეს? ტყუილად იყო, რა გააკეთა? არადა, ლამის საქართველოს პასპორტი გაუკეთეს. ამიტომ, ვიმეორებ, ეს მოლაპარაკებები უპერსპექტივოა. კი ბატონო, პარლამენტის წევრების ინტელექტი ძალიან დაბალია, მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ჭკვიანი ხალხი არ არის. არიან პრაგმატიკოსები, რომლებიც ფიქრობენ: ევროპა იჭირაჭუნებს, საყვედურს გამოთქვამს, აღშფოთდება, მაგრამ ვითარებას შეეგუებაო. დასავლეთის ნაწილი ამბობს: ეს თავისუფალი არჩევნები იყო და რას ერჩითო. ოდირის განცხადებაში კი წერია: კონკურენტუნარიანი არჩევნები ჩატარდაო.

თამასა ძალიან მაღლაა აწეული. საკითხი დგას ხელისუფლებაში ყოფნა-არყოფნაზე. მთელ ამ ფონს შლეიფად მისდევს ერთი დრამატული რეალობა: საქართველოში, დღეს, კეთილდღეობის მთავარი გარანტი არის არა წარმატებული ბიზნესი, არამედ პოლიტიკაში, თანაც, მმართველ პარტიაში ყოფნა. ცივილიზებულ მსოფლიოში ასე არსად ხდება. იქ, გამორიცხულია ხელისუფლებაში ღარიბი ადამიანი მოვიდეს და რამდენიმე წელში მილიონერი გახდეს. ასე, მარტო საქართველოში ხდება. ამიტომ, ხელისუფლების დაკარგვა უსიამოვნო ფაქტია.

— თქვენ ახსენეთ, ოპოზიციის მიზანი ხელისუფლების ჩანაცვლებააო. როგორ ფიქრობთ, მას ამის გაკეთება ცივილიზებულად სურს?

— აქ, ხელისუფლება ცივილიზებულად არ შეიცვლება. 2012 წლის ფენომენი აღარ განმეორდება. დღეს ირკვევა, რომ ნელ-ნელა ოპოზიციამ დასკვნები გააკეთა, მაგრამ უფრო სერიოზული დასკვნები მმართველმა პარტიამ გამოიტანა. ამიტომ, ვშიშობ, ღმერთმა ქნას რომ ვცდებოდე, მაგრამ 2012 წელი, ანუ ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ბიჭმა გაამართლა

დოკუმენტური ნოველა

ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებს, აკადემიურ წრეებში, პროფესიული გამოცდილების მქონე, პირუთვნელ შემფასებლებად იცნობდნენ და ხშირად იწვევდნენ მისაღებ გამოცდებზე საქართველოს ისტორიისა და ქართული ენისა და ლიტერატურის კომისიის წევრებად. სწორედ ამ ნიშნით აღმოჩნდა ჩემი კოლეგა, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თანამშრომელი, კათედრის საერთო სიმპათია, თურქული ენის საუკეთესო სპეციალისტი და ქართული მწერლობის დიდი გულშემატკივარი ედიშერ სარიშვილი, შემფასებლის როლში, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე.

შვებულებიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, რომ ინსტიტუტში ედიშერ სარიშვილმა შემოიარა. სალამ-ქალამისა და მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ სიტყვა გამოცდებზე ჩამოვუგდე. მანაც არ დააყოვნა და ბევრი რამ საინტერესო გაიხსენა ზაფხულის ხვატში მიმდინარე საგამოცდო ციებ-ცხელებიდან. მერე აქცენტი ერთ შემთხვევაზე გააკეთა და გამოცდებზე მიღებული შთაბეჭდილებების ისეთი ფოიერვერკი დააფრქვია, თავს იოლად როდი დააღწევდით მის მიერ შემოთავაზებულ ნარატივს. ამბავი, რომელიც რაიონიდან ჩამოსულ ერთ ყმაწვილს ეხებოდა, სამუდამოდ დამამახსოვრდა.

„ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩასარიცხ აბიტურიენტებთან ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდების დასრულების შემდეგ ეკონომიკის ფაკულტეტზე გადავინაცვლე, აბიტურიენტების ნაწერების გასასწორებლად“, – მიამბობს ედიშერი. აქვე შევნიშნავ, რომ ეკონომიკის ფაკულტეტი იმხანად ე.წ. პრესტიჟულ სპეციალობათა რიცხვს არ განეკუთვნებოდა და აბიტურიენტებიც, მომზადების ხარისხით, სხვებს ბევრად ჩამოუვარდებოდნენ; ყურადღება საბუნებისმეტყველო საგნებზე ჰქონდათ გამახვილებული და ქართულის წერით გამოცდას, ცოტა არ იყოს, ზერელედ უყურებდნენ. გუმანით მივხვდი, სახალისო ისტორია მელოდა და ყურადღება დავძაბე.

– მერე და რა ჩაიდინე, ჩამოამწკრივე ხომ უბადრუკი სამიანები. – ვკითხე, – ალბათ, სანუგეშოც ვერაფერი აღმოაჩინე.

– დიდი ვერაფერი, თუმცა ერთმა ნაწერმა გულწრფელად გამაოცა, – განაგრძო მან.

მისი გაკვირვების უმთავრესი მიზეზი ერთ-ერთი აბიტურიენტის მიერ საყვარელ ნაწარმოებად დიუმას „სამი მუშკეტერის“ დასახელება გამხდარიყო. გულწრფელად ვაღიარებ, ამ ფაქტმა მეც გამაოცა, რადგან მსგავსი გადაწყვეტილება თავად აბიტურიენტისთვის, ცოტა არ იყოს, სახიფათო იქნებოდა და უნებლიეთ აღმომხდა:

– ღმერთი ხომ არ გაგიწყრა, ამისთვის ბავშვს ნიშანი ხომ არ დააკელი?

– არა, რას ამბობ, – მიპასუხა, ნიშანს როგორ დავაკლებდი, ისეთი მშვენიერი ნაწერი ჰქონდა, ისე კარგად აღწერა დიუმას გმირების თავგადასავალი, სინდისი როგორ გამიშვებდა, არჩევანის გამო ნიშანი დამეკლო. რაც მთავარია, მთელი პასაჟები ზეპირად ახსოვდა და იმდენად ზუსტად ახდენდა ციტირებას, აღფრთოვანება ვერ დავფარე და გულმა არ გამიძლო, ნაწერით მიღებული შთაბეჭდილება სხვებისთვისაც არ გამეზიარებინა. ამიტომ ნაწერი რამდენიმე გამსწორებელსაც წავაკითხე ჩემი განწყობის შესამოწმებლად. ყველას ერთნაირი რეაქცია ჰქონდა.

– კი, მაგრამ, ზეპირად მოხმობილი ტექსტის სისწორე როგორღა შეამოწმე, მოწაფეობის მერე, ალბათ, „სამი მუშკეტერი“ არც კი გაგხსენებია, – ვკითხე.

– ჰო, მართალი ხარ, ამ ფაქტმა, მართლაც თავსატეხი გამიჩინა და სასწრაფოდ დიუმას თხზულება მოვითხოვე. იმ პირობებში ეს იოლი საქმე არ იყო, მაგრამ როგორღაც მოძებნეს და რომ შევადარე, გავოცდი, იმდენად ზუსტად იყო მოხმობილი ციტატები.

ნიშნების უწყისში გადატანისას ედიშერს უნახავს, რომ მშვენიერი ნაწერის ავტორი, დასავლეთ საქართველოს რომელიღაც სოფლიდან ჩამოსული ბიჭი იყო, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, ვერ გაიხსენა, გამოცდებიდან ხომ უკვე თითქმის მთელი თვე იყო გასული. გული დამწყდა აბიტურიენტის ვინაობა რომ ვერ დავაზუსტე, თუმცა კარგა ხანს გამყვა ფიქრი იმ ერთ მეოცნებე სოფლელ ბიჭზე, რომელსაც, მჯერა, უსათუოდ კარგი პედაგოგები ეყოლებოდა, კითხვის სიყვარული რომ გაუღვივეს. ჰუმანიტარული ცოდნის მიმართ კი, ჩანს, თავადაც არ უნდა ყოფილიყო გულგრილი. ყმაწვილი კაცის პიროვნული თვისებები და ფართო ინტერესებიც ეჭვს არ იწვევდა – დინების საწინააღმდეგოდ ცურვის წადილი, მის წინაშე დასმული ამოცანის არაორდინარული გზით გადაჭრის უნარი, კარგი მეხსიერება, შინაგანი თავისუფლება, სითამამე და გონიერება. ბიჭი არ შეშინდა, დინების საწინააღმდეგოდ წავიდა, ტრადიცია დაარღვია და რომელი ავტორიც გულს მეტად უხარებდა, ქართული ენისა და ლიტერატურის წერის გამოცდაზე, გულწრფელად, მასზე შეჩერდა. თანაც სათქმელის გადმოცემაც მარჯვედ და მიმზიდველად მოახერხა. ასეთი მეხსიერების პატრონს, ალბათ, ლექსებიც ბლომად ემახსოვრება, გავიფიქრე. ნეტა, სად არის ახლა ეს ბიჭი? დარწმუნებული ვარ, ჩაირიცხა, ალბათ საუკეთესო სტუდენტი გახდა, როგორ დაამთავრა და ახლა რას საქმიანობს? ეგებ სადმე, კაბინეტში, მოანგარიშედ, ანდა საქონელმცოდნედ ზის და მისაბაძი გმირები საერთოდ გადაავიწყდა, ან იქნებ სწავლა განაგრძო და დისერტაციაც დაიცვა. ან ეგებ, მეოცნებე ახალგაზრდა ეკონომიკური ფაკულტეტით განიხიბლა, სწავლა მიატოვა და, დარტანიანივით, ისევ თავის იდეალურ გმირებს მიაკითხა; ათოსმა, პორთოსმა და არამისმა კი ცხოვრების სულ სხვა გზა უჩვენეს. ისიც ადგა და, რომანტიკული თავგადასავლების მოტრფიალე, ახალ სპეციალობას დაეუფლა, – ვფიქრობდი ჩემთვის.

გარბოდა წლები და, ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმულს ბევრი რამ გადამავიწყდა, მეხსიერების სალაროდან უფრო და უფრო იშვიათად გამოკრთოდა იმ ერთი კარგი ქართველი ბიჭის ამბავიც, რომელიც, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მჯეროდა, ცხოვრებაში თავის ადგილს უცილობლად იპოვიდა. თუმცა სხვაგვარადაც ხომ არაერთხელ მომხდარა, რამდენი ტალანტი უგზო-უკვლოდ დაკარგულა, რამდენის იღბალი საბედისწეროდ შეტრიალებულა. მაგრამ შინაგანი ხმა მკარნახობდა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასე არ მოხდებოდა. მიზნისკენ სწრაფვის ჟინი და დაკვირვებული მკითხველის თვალი ბიჭს ცხოვრებაში უსათუოდ წაადგებოდა, საყვარელ მწერალთა თხზულებები წამოეშველებოდნენ, კეთილ საქმეს თავს დაადგამდნენ, დიდ ცხოვრებაში ფეხშედგმულ ყმაწვილს გონივრულ რჩევებს დაუმადლებლად მისცემდნენ ...

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, სამოცდაათიანები დასრულდა და მას უმალ ოთხმოციანებიც მიჰყვა, თავისუფლების გაცხადებული წყურვილისა და რევოლუციურ ჰაერში დენთის სუნი დატრიალდა, ქვეყანა სიღარიბისა და პოლიტიკური ბრძოლების ქაოსში ჩაიძირა და ბიჭიც სრულ დავიწყებას მიეცა.

90-იანი წლების ორომტრიალში გაზეთებში ჯერ ფრთხილმა ინფორმაციამ გაიელვა, საქართველოში ინკოგნიტოდ მცხოვრებ პიროვნებაზე, რომელიც თურმე, უჩუმრად და უხმაუროდ, ქვეყნისთვის მრავალ სასიკეთო საქმეს აკეთებდა.

მალე პრესაში ამ უჩინარ ქართველ მილიონერზე სტატიებიც გამოჩნდა და გაზეთების ფურცლები ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებებით აჭრელდა. ინტერესი ერთხანს ჩრდილში მყოფი პიროვნებისადმი თანდათან იზრდებოდა, ხოლო ხმა რომ დაირხა, პოლიტიკაში შემოსვლა განუზრახავსო, მოლოდინისა და დაძაბულობის განწყობამ საზოგადოებაში ერთბაშად იმძლავრა. მეტისა და მეტის გაგება ეწადათ კაცზე, ვისაც ფინანსური სიმაღლეები წარმატებით დაეპყრო და ახლა აბსურდამდე მისულ პოლიტიკურ გარემოს მისდგომოდა შესაცვლელად. მოსახლეობის საინფორმაციო შიმშილი თანდათან, მცირე ულუფებად, მოვლენების განვითარების თანმიმდევრულად კმაყოფილდებოდა. მალე ცვლილებათა კულმინაციის მომსწრეც გავხდით და გაზეთებში პოლიტიკაში ახალი სახის – ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ გამოჩნდა, იმხანად მისი სენსაციური განცხადებების იმედისმომცემი პროლოგი, რამაც ჩემზე განსაკუთრებული შაბეჭდილება მოახდინა.

ერთ დღეს, ცხელ-ცხელი ამბების მომლოდინემ გაზეთი რომ გავშალე, ათასგვარი ინფორმაციის ტყვეობაში გახლართული, სახტად დავრჩი, თვალებს ვერ დავუჯერე. ჟურნალისტის შეკითხვას პოლიტიკაში ახალი სახე ბიძინა ივანიშვილი პასუხობდა, ამბობდა, რომ მისი საყვარელი ნაწარმოები „სამი მუშკეტერია“ და ეკონომიკის ფაკულტეტის მისაღებ გამოცდებზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თავისუფალ თემად თავისი საყვარელი ნაწარმოები, დიუმას ეს თხზულება აირჩია, თანაც ამ სათავგადასავლო რომანის მთელი რიგი პასაჟები ზეპირად ახსოვდა. გაოცებულმა ინტერვიუ რამდენჯერმე გადავიკითხე. ედიშერი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ იყო, ჩემი განცდების ეს ერთი წნული მისთვისაც რომ მეწილადებინა. გულში სითბო ჩამეღვარა, მეგონა, ხელახლა აღმოვაჩინე ჩემიანი, კარგად ნაცნობი, ძალზე ახლობელი ადამიანი. მერე კი აღელვებულმა ტაში შემოვკარი და სიხარულით აღმომხდა: – ბიჭმა გაამართლა!



ქეთევან ტომარაძე
595 85 09 36

გოგიას ჰნებანი

— მე ჩემი კლიენტისგან მონიჭებული მაქვს უფლება განვაცხადო, რომ მას, საკმაოდ მძიმე ოპერაციის შემდეგ, გარკვეული ფუნქციები მოდუნებული აქვს, — განაცხადა გოგი წულაიას ადვოკატმა ვალერი გელბახიანმა, რითაც, თავისი ჭკუით, მყარი არგუმენტი დადო წულაიას წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების გასაქარწყლებლად.

რას ამბობთ თქვენ, ბატონო ვალერი, რა შუაშია აქ მოდუნება, დაზარალებული იმის გამო კი არ ჩივის, ბატონ გოგის რაღაც-რაღაცები ჰქონდა მოდუნებული და ამ მიზეზით დავზარალდიო, არამედ იმიტომ ჩივის, რომ წულაიამ ჩემზე სექსუალური შინაარსის ძალადობა განახორციელაო, რაც იმ შემთხვევაშიც კი შეიძლება განხორციელდეს, როცა მოძალადეს ესა თუ ის ფუნქცია მოდუნებული აქვს.

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელსაც სამართლის საკითხები თავისებურად ესმის, დაზარალებულად ქალბატონს კი არა, ვაჟბატონ გოგის მიიჩნევს და თვლის, რომ ის ქალბატონის მიერ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციის მსხვერპლია.

— მამაკაცთან ღამე დარჩენაზე თანხმობას რომ განაცხადებს, ის ქალი დამნაშავე არ არის? ეს არ არის მამაკაცის მიზანმიმართული ცდუნება? შენ ხომ წინასწარ არ იცი, მოდუნებული აქვს მამაკაცს ფუნქცია თუ არა? იქნებ, არა აქვს მოდუნებული? სად მიდიხარ მერე? — ასეთ ჩამჭრელ კითხვებს სვამენ სოციალური ქსელების მომხმარებლები და დაზარალებული ქალბატონის მისამართით საკმაოდ მძიმე და მკვახე ეპითეტებს იყენებენ.

— მეგობრები ვიყავით მე და ბატონი გოგი და ნამდვილად არ მოველოდი მისგან ასეთ ამბავს, — თავს იმართლებს ქალბატონი.

ერთი ანეკდოტი გვინდა გავახსენოთ ქალბატონს.

ბიჭი ეუბნება გოგოს: — მომეცი, გოგო, მომეცი, რა...

— არ გრცხვენია, ბიჭო, რა უნდა მოგცე, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

— თუ მეგობარმა არ მოგცა, აბა, მტერი რას მოგცემს? — პასუხობს ბიჭი.

ბატონ გოგისაც, როგორც ჩანს, ასეთნაირად ესმის ქალისა და კაცის მეგობრობის საკითხი.

— არაფერი არ ყოფილა, არაფერი არ მომხდარა! უბრალოდ, ვუთხარი, შუბლზე მაკოცე-მეთქი და ამან კიდევ რამხელა წიოკობა ატეხაო, — უკვირს ბ-ნ გოგის.

ნახეთ, როგორი პატიოსანი კაცია ეს გოგი წულაია — ლოყაზე მაკოცე, ტუჩებში მაკოცე, ან სადმე სხვაგან მაკოცეო, კი არ უთქვამს ქალისთვის, შუბლზე მაკოცეო, სთხოვა.

გამოძიება ცდილობს დაადგინოს, რატომ მოითხოვა ბ-ნმა გოგიმ ქალბატონისგან, რომ მაინცდამაინც შუბლზე ეკოცნა მისთვის, როცა ბ-ნ გოგის შუბლი თითქმის არა აქვს და თავი პირდაპირ წარბებიდან ეწყება?!

ხომ არ არის ეს მანია გრანდიოზას ფარული გამოვლინება? იქნებ, ბ-ნი გოგი თვლის, რომ მას, როგორც პოლიტიკოსს, იმხელა დამსახურება აქვს საქართველოს წინაშე, რომ ყველა მოქალაქე ვალდებულია, მადლიერების ნიშნად ემთხვიოს? მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვით, შუბლი არა აქვს, არადა, როცა შუბლი არ გაქვს, შუბლის ძარღვიც არ გაქვს, ხოლო, როცა შუბლის ძარღვი არ გაქვს, ყველაფერი შეგიძლია თქვა, ყველაფერი იკადრო და არც შუბლის ძარღვი აგიტოკდება, არც სხვა რამე...

პატივცემული გოგი კარგა ხანია დაუკრეფავშია გადასული, მაგრამ მთლად ასეთ დაუკრეფავში თუ შეტოპავდა, ამას არავინ ელოდა.

იჯდეს ახლა, სადაც ზის, იჯდეს და კარგად მოდუნდეს.

დავით ქავთარია

როგორ სჯიდნენ სხვადასხვა დანაშაულის გამო ფარაონების მმართველობის დროს

ძველ ეგვიპტეში ადამიანებს დანაშაულის გამო მორალური და რელიგიური კანონებით სჯიდნენ. ჩადენილი დანაშაულის გამო სჯიდნენ არა მარტო ცოცხლებს, არამედ გარდაცვლილებსაც — ამ პროცესს „სხვა სამყაროს სამართალი" ეწოდებოდა. ეგვიპტელებს ჰყავდათ ღვთაებები ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევისთვის, და, რა თქმა უნდა, ჰყავდათ სამართლიანობის ქალღმერთიც. მას მაატი ერქვა და ის ჭეშმარიტების, წესრიგისა და კანონიერების მფარველად ითვლებოდა.

ძველ ეგვიპტეში ყველა დანაშაული ორ კატეგორიად იყოფოდა. პირველში შედიოდა საზოგადოების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რომელთა რიცხვში იყო მკვლელობა, ქურდობა და ძარცვა, ასევე გარყვნილება. მეორე კატეგორიაში შედიოდა სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაული — ქრთამის აღება, ჩინოვნიკების და მმართველების სიცოცხლის ხელყოფა, სახელმწიფოს ღალატი, სახელმწიფო ქონების დატაცება და ღვთის გმობა.

ძირითადი ძალაუფლება ქვეყანაში ფარაონის ხელში იყო. ეგვიპტის სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე ფარაონები პირადად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, დაესაჯათ თუ შეეწყალებინათ დამნაშავე, მაგრამ მოგვიანებით ეს უფლებები სპეციალურად ამისთვის შექმნილ დაწესებულებებს — სასამართლოებს გადაეცა. თავად ფარაონებს სამართლის აღსრულებაზე უარი არ უთქვამთ — ეგვიპტის მმართველები რთულ და გახმაურებულ საქმეებში ისევ მონაწილეობდნენ.

მკვლელობა. „ადამიანს სიცოცხლე უმაღლესმა ძალებმა მიანიჭეს და ის, ვინც მას წაართმევს ადამიანს, თვითონაც სიკვდილის ღირსია", — ასე მსჯელობდნენ უძველესი დროიდან ნილოსის ნაპირებზე მცხოვრები ადამიანები. მაგრამ, ამასთან, ეგვიპტეში ასხვავებდნენ განზრახ და შემთხვევით მკვლელობებს. განზრახ მკვლელობაც ყოველთვის არ ისჯებოდა სიკვდილით — ზოგჯერ ინიშნებოდა ფსიქოლოგიური სასჯელი, მაგრამ ის სიკვდილზე უფრო საშინელი იყო.

ადამიანს, რომელიც დედას ან მამას მოკლავდა, ჯერ საშინლად აწამებდნენ, ხოლო შემდეგ სიკვდილით სჯიდნენ. მათ გარდაცვლილი მსხვერპლის გვამზე მიაბამდნენ ხოლმე და სამი დღე-ღამის განმავლობაში ცხელ ადგილზე ტოვებდნენ მეთვალყურეობის ქვეშ. მკვლელს მხოლოდ იმის შემდეგ სჯიდნენ სიკვდილით, როცა სხეული გახრწნას იწყებდა.

ფრანგი ეგვიპტოლოგი ფრანსუა დიუმა ამტკიცებს, რომ ეგვიპტელები დასჯის საქმეში გამომგონებლობით არ გამოირჩეოდნენ. ზოგჯერ სიკვდილმისჯილები განსაკუთრებული წყალობის ღირსნი ხდებოდნენ — მათ უფლებას აძლევდნენ, თვითონ დაესრულებინათ საკუთარი სიცოცხლე.

შეიძლება ითქვას, რომ იმ უძველეს დროს სასამართლო სამართლიანი იყო. თუ შესაძლებელი ხდებოდა იმის დამტკიცება, რომ მკვლელობა განზრახ არ იყო ჩადენილი, დამნაშავეს სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ და გარდაცვლილის ოჯახის სასარგებლოდ ჯარიმას აკისრებდნენ. გარდა ამისა, მკვლელს უნდა გაევლო განსაკუთრებული გამწმენდის რიტუალი და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო საკუთარ სახლში შესვლა.

მკვლელობის ფაქტის დაფარვა ან შეუტყობინებლობა ეგვიპტის სასამართლოში განსაკუთრებული სისასტიკით ისჯებოდა. დამნაშავენი, უფრო ხშირად მკვლელის ბედს იზიარებდნენ — მათაც სიკვდილით სჯიდნენ. წმინდა ცხოველის ან ფრინველის, მაგალითად, კატის ან იბისის განზრახ მკვლელობის გამოც სიკვდილის განაჩენი გამოჰქონდათ. შემთხვევითი მკვლელობის დროს შესაძლებელი იყო დიდი ჯარიმის სანაცვლოდ გაეთავისუფლებინათ დამნაშავე.

გარყვნილება. ეგვიპტელებში გარყვნილება რელიგიის წინააღმდეგ დანაშაულად ითვლებოდა და სიკვდილით ისჯებოდა. დანაშაულად ითვლებოდა მამაკაცის კავშირი გათხოვილ ქალთან. ძველი ეგვიპტის სასამართლო კანონებში არაერთხელ არის მოხსენიებული, რომ, თუ მამაკაცმა სხვის ცოლს სურვილით შეხედა, ის დამნაშავეა და ცოდვილია, ის გამოუსწორებელია და ამიტომ მხოლოდ სიკვდილს იმსახურებს.

მაგრამ ეს მხოლოდ მამაკაცებს ეხებოდა. მოღალატე ცოლის ბედი კი კანონიერი ქმრის ხელში იყო. მას შეეძლო ცოლისთვის ეპატიებინა ან რაიმე სასჯელი დაეკისრებინა. თუ მოტყუებული ქმარი სასამართლოს არ მიმართავდა, სასჯელს გადაურჩებოდა საყვარელიც — ამ შემთხვევაში პრობლემა ოჯახის საქმედ რჩებოდა და ოჯახის თავს შეეძლო ეპატიებინა ცოლისთვისაც და მისი საყვარლისთვისაც.

ქურდობა და ძარცვა. ქურდობა ძველ ეგვიპტეში, ჩვეულებრივ, ჯარიმით ისჯებოდა. ამასთან, გადასახდელი თანხა სამჯერ მაინც აღემატებოდა მოპარულის ღირებულებას. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე კერძო ან საზოგადოებრივ საკუთრებას ეხებოდა. თუ ეგვიპტელი სახელმწიფოს ქონების მოპარვას განიზრახავდა, მას აიძულებდნენ ზარალზე 180-ჯერ მეტი თანხა გადაეხადა!

ქურდი, რომელიც არ აღიარებდა დანაშაულს და უარს ამბობდა საჯაროდ ბოდიშის მოხდაზე, ავტომატურად გადადიოდა გამოუსწორებელ დამნაშავეთა რიგებში და მას ნიანგებთან აგდებდნენ მდინარეში, ასევე ექცეოდნენ იმ მძარცველებს, რომლებიც საკუთარ მსხვერპლს კლავდნენ.

სამარხების ძარცვა. სამარხებისა და ტაძრების მძარცველების მიმართ ეგვიპტური სასამართლოებს განსაკუთრებით მკაცრი განაჩენი გამოჰქონდა. ფარაონებთან და დიდგვაროვან ადამიანებთან ერთად ბევრ ძვირფას ნივთს კრძალავდნენ, რაც მძარცველებისთვის სასურველ ლუკმას წარმოადგენდა. ზოგჯერ თავად ფარაონებიც ძარცვავდნენ ხოლმე თავიანთი წინამორბედების სამარხებს.

ეს უკვე სამარხის გაძარცვა კი არა, სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე იყო, თუმცა ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა.

მძარცველები სამარხებს თან ძარცვავდნენ და თან ყველაფერს აზიანებდნენ.

თუ მძარცველი ტაძრიდან მოპარულ წმინდა ცხოველის გამოსახულებას თავისთვის დაიტოვებდა, მას ცხვირს აჭრიდნენ, ხოლო თუ გაყიდიდა, სჯიდნენ. გარდა ამისა, დამნაშავეს ტაძრისთვის მიყენებული ზარალზე 100-ჯერ მეტი თანხა უნდა გადაეხადა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„ბაიდენი ცარიელი კოსტუმია, სუფლიორით...“

პანდემიასთან ბრძოლაზე საუბრის დროს თეთრ სახლში, ბაიდენმა ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი პრეზიდენტად მოიხსენია

„ცივ ომს ვინ ჩივის, სამყაროს პოლიტიკაში გამყინვარების პერიოდი იწყება“, — შეშფოთებით აცხადებენ ანალიტიკოსები. პესიმისტურად განწყობის საფუძველი მათ ადრეც ჰქონდათ, მაგრამ განსაკუთრებით გასულ კვირას გახდა საერთაშორისო ვითარება საგანგაშო. ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტოლოგების გაოცებას იწვევდა ის გარემოება, რომ პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აქტიურად არ ჩანდა. მართალია, მან მოსახლეობას მიმართა, პანდემიასთან ბრძოლაზე ისაუბრა, მაგრამ ჟურნალისტების კითხვებს აღარ უპასუხა... პრეზიდენტის ორთვიანი დუმილის უფრო გახანგრძლივება რომ აღარ შეიძლება, კარგად უწყიან თეთრ სახლში და ჯო ბაიდენის დიდი ბრიფინგი 25 მარტისთვის დაინიშნა.

პირველ პრესკონფერენციამდე, გასულ კვირას ტელეკომპანია NBჩ-მ ბაიდენთან ინტერვიუს ჩანაწერი გადასცა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ცდილობს, პირდაპირ ეთერში ცოტა ილაპარაკოს. ვიდრე ინტერვიუს ჩაიწერდა ტელეკომპანია, გასაჯაროვდა აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს მოხსენება. უწყების ინფორმაციით, შარშანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთი კვლავ ჩაერია, წაახალისა ჰაკერები ბაიდენის წინააღმდეგ „შავი პიარის“ ასაგორებლად და „ჩასაძირად“. უცნაურია, მაგრამ, მოხსენების მიხედვით, რუსეთის გარდა, დონალდ ტრამპს თურმე ირანიც ემხრობოდა და მხარს უჭერდა.(?)



პრეზიდენტთან საუბარი ჟურნალისტმა ჯორჯ სტეპანოპულოსმა სწორედ დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით წაიყვანა. აღსანიშნავია, რომ სტეპანოპულოსი დღემდე დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრია. იგი ჯერ კიდევ ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს მუშაობდა თეთრი სახლის ადმინისტრაციაში. თუმცა არც შემდეგ გამდგარა პოლიტიკიდან გვერდზე. ახლო წარსულში ერთ-ერთ შეკრებაზე ჰილარი კლინტონმა ის შეაქო, მიუკერძოებელ ჟურნალისტად მოიხსენია, რამაც დამსწრე საზოგადოებაში სიცილი გამოიწვია. ხაზგასმით შეიძლება ვთქვათ, რომ „მიუკერძოებელი“ სტეპანოპულოსი თავისი ჟურნალისტური საქმიანობით ერთპიროვნულად მხოლოდ დემოკრატიულ პარტიას ემსახურება.

რუსეთზე საუბრის დაწყებისთანავე, ჯო ბაიდენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კარგად იცნობს პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს, რამდენჯერმე შეხვედრია პირისპირ. „...როდესაც პირველად შევხვდი პუტინს, თვალებში ჩავხედე და ვუთხარი, რომ მას სული არ აქვს...“ თუმცა, ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმა მოიძიეს იმ შეხვედრის პროტოკოლური ჩანაწერი, სადაც მსგავსი საუბარი არ აღმოჩნდა. ჟურნალისტმა არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე დაუსვა კითხვა, რაზეც ბაიდენმა უპასუხა: „...იანვრის ბოლოს ტელეფონით ვესაუბრე... დიდხანს ვლაპარაკობდით. მკაცრად ველაპარაკე, გავაფრთხილე კიდეც“ (სწორედ ამ საუბრის შემდეგ შეთანხმდნენ აშშ და რუსეთი მცირე და საშუალო მანძილის რაკეტების შეზღუდვის შეთანხმების კიდევ 5 წლით გაგრძელებაზე, რომლის გაუქმებასაც აპირებდა დონალდ ტრამპი — გ.ბ.). ჟურნალისტს განსაკუთრებით აინტერესებდა, თუ რა საფასურს გადაახდევინებს აშშ რუსეთს არჩევნებში ჩარევისთვის. კითხვას ბაიდენმა მოკლედ უპასუხა: „...რა საფასურსაც გადავახსევინებთ, მალე დაინახავთ“.

მხოლოდ ძველი ამბების გახსენებით და მუქარის ტონით არ დასრულდა აღნიშნული ინტერვიუ. მომდევნო კითხვა-პასუხმა მსოფლიოს პოლიტიკოსების (და არა მარტო მათი) შოკი გამოიწვია. სტეპანოპულოსმა პირდაპირ დაუსვა შეკითხვა: „...თქვენ იცნობთ პუტინს. თვლით თუ არა, რომ იგი მკვლელია?“ ბაიდენმა უყოყმანოდ, დამაჯერებლად უპასუხა: „...მე ასე ვფიქრობ“... თავდაპირველად პოლიტოლოგები და ჟურნალისტები აშშ-ში ფიქრობდნენ, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა, რადგან მსგავსი, რბილად რომ ვთქვათ, მკვეთრი გამონათქვამი ყველაზე რთულ, ცივი ომის პერიოდშიც არ გაუკეთებიათ აშშ-ისა და საბჭოეთის პირველ პირებს და პირადულად არ დაუკნინებიათ ერთმანეთი.

თეთრ სახლში ტრადიციული ბრიფინგის დროს ჟურნალისტებმა (ძირითადად, ამერიკელებმა, რადგან უცხოელებიდან აკრედიტაცია ცოტა ვინმეს თუ აქვს) შეკითხვა დაუსვეს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელს ჯენ ფსაკის, ნანობს თუ არა ბაიდენი მკვეთრი გამონათქვამის გამო. ჯენ ფსაკმა უპასუხა, რომ „პრეზიდენტმა პირდაპირ უპასუხა პირდაპირ დასმულ კითხვაზე“. მისივე თქმით, „ამიერიდან პრეზიდენტი თავს აღარ შეიკავებს და იტყვის იმას, რასაც ფიქრობს და რასაც საჭიროდ ჩათვლის საჯარო გამოსვლებისას თუ პირად შეხვედრებზე“. ფაქტობრივად, თეთრ სახლში არც უცდიათ დაძაბული პოლიტიკური ვითარების არათუ განმუხტვა, შერბილებაც კი. გასახსენებელია, რომ იგივე კითხვა 3 წლის წინ დონალდ ტრამპსაც დაუსვეს. მაშინ აშშ-ის პრეზიდენტმა დიპლომატიურად უპასუხა: „...უცოდველი არავინ არის... არც ჩვენ ვართ ანგელოზები“. სწორედ ამ პასუხის შემდეგ გაძლიერდა მასზე დემოკრატების მხრიდან შეტევები.

რუსეთში შეურაცხყოფად მიიღეს ჯო ბაიდენის სიტყვები. სახელმწიფო დუმის სპიკერის ვიაჩესლავ ვოლოდინის განცხადებით, აშშ-ის პრეზიდენტმა არა მხოლოდ პუტინი, არამედ მთელი რუსეთი დააკნინა. რუსეთის ფედერალური საბჭოს სენატორის ალექსეი პუშკოვის თქმით, „ბაიდენს განცხადება არ გაუკეთებია, მან კითხვას უპასუხა, რომელიც უადგილო იყო. საერთოდაც, ბაიდენის ნათქვამი მის ამომრჩეველზე იყო გათვლილი — ანტიპუტინისტური პოზიცია მაქვსო“. თავად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გარეგნულად მშვიდად დასცა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის

ნაცხადეს, კონსულტაციებისთვის. თუმცა, როდის დაბრუნდება ელჩი აშშ-ში, არ ამბობენ. ვარაუდობენ, რომ ანტონოვს რუსეთში ყოფნა დიდი ხნით მოუწევს.

ელჩის გაწვევამ ჩააფიქრა ამერიკელი პოლიტოლოგები, რადგან მსგავსი რამ ისტორიაში დღემდე არ ყოფილა. კარიბის კრიზისის დროსაც არ დაუბარებიათ ელჩები საბჭოთა და აშშ-ის მთავრობებს თუნდაც კონსულტაციებისთვის. აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსები შიშობენ, რომ აშშ-რუსეთის დაპირისპირება, ადვილი შესძლებელია, მწვავე ფაზაში შევიდეს, რაც ხიფათის მომტანია მთელი სამყაროსთვის.

დისკუსია, რომელიც პუტინმა ბაიდენს შესთავაზა, დიდი ალბათობით არ გაიმართება. ჯენ ფსაკის თქმით, პრეზიდენტს სხვა ბევრი მნიშვნელოვანი საქმე აქვს, რაც, ფაქტობრივად, დიალოგზე უარის თქმას ნიშნავს. ჟურნალისტები შეეცადნენ, თავად ბაიდენისგან გაეგოთ, მიიღებს თუ არა ის პუტინის წინადადებას, მაგრამ მან ზურგი შეაქცია მათ, უპასუხოდ დატოვა. თუმცა მაინც მოუწია პასუხის გაცემა — ჯორჯიის შტატში გამგზავრებამდე აეროპორტში განაცხადა: „...მომავალში პუტინთან სხვადასხვა ფორმატში მექნება შეხვედრები და საუბრები“. ამერიკელი ჟურნალისტების ინფორმაციით, თეთრი სახლის ადმინისტრაცია დააბნია პუტინის შეთავაზებამ, რაც მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ტელეკომპანია „ფოქს-ნიუსის“ ჟურნალისტების თქმით, დაუშვებელია ბაიდენის პუტინთან სადისკუსიოდ პირდაპირ ეთერში პირისპირ დაჯდომა, პირწმინდად დამარცხდებაო.

მსოფლიოს ქვეყნების მეთაურებს დღემდე არ გამოუხატავთ თავიანთი პოზიციები ჯო ბაიდენის მკვეთრ გამონათქვამზე. მხოლოდ ისრაელის

პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ და თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრება. მათი განცხადებით, დაუშვებელია, რომ ერთი ქვეყნის მეთაური მსგავსი ტონით ესაუბრებოდეს კოლეგას. პოლიტოლოგებისთვის გაუგებარია, რის შესახებ ისაუბრებენ „დიდი ოცეულის“ მომავალი შეხვედრის დროს. ამერიკელი და მსოფლიო პოლიტიკოსები ჯერ დუმილის რეჟიმში არიან, მაგრამ აშშ-ის მოსახლეობა მკვეთრად უარყოფითად აფასებს ბაიდენის გამონათქვამს. ამერიკელი ჟურნალისტის მაიკ ბომის თქმით, „...ბაიდენმა დაარღვია დიპლომატიის საბაზო ეთიკის ყველა ნორმა“. დონალდ ტრამპის შვილმა, დონალდ-უმცროსმა სოციალურ ქსელებში ბაიდენზე დაწერა: „...ცარიელი კოსტიუმი სუფლიორით, რომელსაც ვერ იყენებს“. მწარე გამონათქვამებში შვილმა მამას აჯობა.

სერიოზულად აშფოთებთ ამერიკელ პოლიტიკოსებს პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა. გასულ კვირას პანდემიასთან ბრძოლაზე საუბრის დროს თეთრ სახლში, ბაიდენმა ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი პრეზიდენტად მოიხსენია. ჯორჯიის შტატში გამგზავრებისას თვითმფრინავის ტრაპზე ასვლის დროს სამჯერ წაბორძიკდა და ჩაიმუხლა, რაც თეთრ სახლში ძლიერ ქარს დააბრალეს (?!). საჯარო გამოსვლებისას სუფლიორს აშველებენ, მაგრამ საუბრისას მაინც უშვებს უხეშ შეცდომებს. ეჭვობენ, რომ მას დემენცია აქვს. დემოკრატიული პარტიის რამდენიმე სენატორმა წამოაყენა იდეა — შეცვალონ პრეზიდენტის მიერ ბირთვული ჩემოდნის გამოყენების რეგლამენტი.

სენსაციური განცხადება გააკეთა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა იმის შესახებ, რომ მისი ქვეყანა 40%-ის გაზრდის ბირთვული შეიარაღების არსენალს, რისთვისაც ბიუჯეტიდან დამატებით 24 მილიარდი გირვანქა-სტერლინგი გამოიყოფა. ამით დიდი ბრიტანეთი არღვევს საერთაშორისო შეთანხმებით აღებულ ვალდებულებას — 2010 წელს ბირთვული შეიარაღების შემცირებას დათანხმდა, ახლა კი მის გაზრდას აპირებს. სავარაუდოდ, მსოფლიოში ახალი გამალებული შეიარაღება იწყება. მართალია, სეზონურად გაზაფხული დადგა, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკაში გამყინვარება იწყება.

გია ბურდული
551 71 27 07

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენ, ადამიანებს, ერთი კი არა ორი გონება გვაქვს



ნეირომეცნიერები ათწლეულებია იკვლევენ თუ როგორ აკონტროლებს ტვინი ჩვენს სხეულს. ქვეცნობიერის დონეზე, ტვინში მიმდინარე უამრავი პროცესსზე წარმოდგენაც არ გვაქვს.

1991 წელს, სპარსეთის ყურის ომის დროს, ინგლისური გემების ფლოტი, ქუვეითის სანაპიროდან ოცდაათი კილომეტრის მოშორებით იყო განლაგებული. მარტოდმარტო მყოფი საზღვაო ოფიცერი

ჰერბერტ ბენსონი

ალან სნაიდერი

მეთვალყურეობდა ერთ-ერთი გემის სარადარო მოწყობილობას, რომელიც მოახლოებული საფრთხის აღმოჩენაზე იყო პასუხისმგებელი. მოულოდნელად რადარის ეკრანზე სიგნალი გამოჩნდა, რაც ორიდან ერთის მანიშნებელი იყო, მოკავშირე თვითმფრინავი დაბომბვის შემდეგ უკან ბრუნდებოდა ან მტრის ჭურვი მოფრინავდა ფლოტის მიმართულებით. ოფიცერი არჩევანის წინაშე დადგა, გაეცა ბრძანება ცეცხლის გახსნაზე, რაც პირველი ვარიანტის შემთხვევაში გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, ან არაფერი მოემოქმედა, რაც ჭურვის შემთხვევაში გემზე მყოფი ასობით ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა. ოფიცერს ერთ წუთზე ნაკლები დრო ჰქონდა და ისღა დარჩენოდა, ინტუიციას მინდობოდა. საბოლოოდ მან ცეცხლი გახსნა და რვაასი მეტრის მოშორებით მდებარე უცნობი ობიექტი გაანადგურა. აღელვებულ ოფიცერს ცოტა ხანში რადიოს მეშვეობით დაუკავშირდნენ და შეატყობინეს, რომ ეს ჭურვი იყო და არა მოკავშირეს თვითმფრინავი. ინციდენტი ექსპერტებმა განიხილეს და საბოლოო დასკვნაში აღნიშნეს, რომ თვითმფრინავი რადარზე გამოჩნდებოდა პირველივე წრეზე, ჭურვი კი მესამეზე, როცა გემებს მიუახლოვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არცერთ სახელმძღვანელოში არ ეწერა და განსხვავების პოვნა შეუძლებელი იყო, ოფიცრის ტვინმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ასობით სიცოცხლე იხსნა. წარსულში მომხდარი შეტაკებებიდან მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე ტვინში შენახული იყო ინფორმაცია, როგორი წინაპირობა აქვს სასიკეთო მოვლენას და როგორი – საზიანოს.

მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩვენ შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ ქვეცნობიერზე და ამის შედეგად განვკურნოთ სხეული და გავაძლიეროთ გონება. გარშემო უამრავი რამაა, რასაც სტრესის გამოწვევა შეუძლია, პიკის საათები, პოლიტიკური დაძაბულობა, ფინანსური გაჭირვება. დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ჩვენს ორგანიზმზე და იწვევს ავადმყოფობას, რიგ შემთხვევებში — სიკვდილს. მაგრამ რა მოხდებოდა, რომ შეგვეძლოს სტრესის ეფექტის განელება ყველანაირი წამლის გამოყენების გარეშე? რა მოხდებოდა, სხეულს

რომ გონებით ვკურნავდეთ?მასაჩუსეტსის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, დოქტორი ჰერბერტ ბენსონი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ავადმყოფობა გონებიდან მოდის და აზიანებს ფიზიკურ სხეულს. ოცდაათი წლის წინ, ბენსონი გაემგზავრა ჰიმალაიში, რათა ტიბეტელ ბერებს დაკვირვებოდა. 4500 მ სიმაღლეზე ცივ ზამთარში, ბერები იხდიდნენ და სველ ზეწრებში ეხვეოდნენ, რაც მედიტაციის ერთ-ერთი ფორმაა, სახელად ტუმო. ჰერბერტმა შენიშნა, რომ ბერები ახერხებდნენ კანის ტემპერატურის გაზრდას რამდენიმე გრადუსით, როცა სხეულის ტემპერატურა იგივე რჩებოდა. ტუმოს მეშვეობით ისინი ებრძვიან უარყოფით ფიქრებს, ორგანიზმში კი წარმოიშობა სითბო, რომელიც გაყინულ ზეწრებს აშრობს. ჯერჯერობით უცნობია, როგორ ახერხებენ ამ შინაგანი ცეცხლის გაჩენას ბერები. მეცნიერები ეჭვობენ, რომ მედიტაცია ააქტიურებს ნერვული სისტემის იმ ნაწილს, რომელიც ორგანიზმის ტემპერატურაზეა პასუხისმგებელი. ჰერბერტი დაინტერესდა, შეეძლო თუ არა ტვინს, ანალოგიური გზით დაემარცხებინა დღესდღეობით ფართოდ გავრცელებული სტრესი?

ჰერბერტმა შეიმუშავა სტრესთან საბრძოლველი რვა კვირიანი თერაპია, რომელიც დღეში

თხუთმეტ წუთიან მედიტაციას მოიცავდა. თერაპიამდე და შემდგომ ჰერბერტი პაციენტებისგან სისხლის ანალიზს იღებდა და ეძებდა ცვლილებებს იმ გენების აქტიურობაში, რომლებიც უჯრედებზე ზეწოლას აკონტროლებენ. თერაპიის შემდგომ ეს გენები პასიურ მდგომარეობაში გადადის, ანუ ჩვენ შეგვიძლია, გენების აქტიურობა ვაკონტროლოთ. ჰერბერტის კვლევა ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ქვეცნობიერის კონტროლი, რათა შედეგად მივიღოთ გარკვეული სამედიცინო სარგებელი. მისი დადებითი მხარე, გარდა იმისა, რომ მეცნიერულად დასტურდება, ისაა, რომ გაცილებით იაფი ჯდება წამლებსა და მითუმეტეს ოპერაციებთან შედარები თ. მაგრამ თუკი ჩვენი შინაგანი გონება ჩვენი ექიმიცაა, კიდევ რა მხრივ შეგვიძლია ცხოვრება გავიუმჯობესოთ?

ალან სნაიდერი სიდნეის უნივერსიტეტის გონების ცენტრის ხელმძღვანელია. მისი კვლევის ერთ-ერთი სფერო პრობლემის გადაჭრის უნარის საზღვრებია. წარმოიდგინეთ, მოგაწოდეს პატარა ბურთულებით სავსე ქილა და გადმოყრის გარეშე დათვლა გთხოვეს. შეძლებთ? ჩვენი გონება

ისეა მოწყობილი, რომ დეტალებში არც ისე კარგად მუშაობს, ჩვენ აღვიქვამთ მთლიანობას და არა ნაწილებს, ტყეს და არა ცალკეულ ხეებს. მაგრამ რა მოხდებოდა, ყველა დეტალზე რომ გვქონდეს წვდომა? ალანი ფიქრობს, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომია ეს კოგნიტიური უნარი, რადგან ზოგიერთ ადამიანს ის უკვე გააჩნია. აუტიზმი, ნეიროგანვითარების ფუნქციის დარღვევაა, რომელიც სოციალური და კომუნიკაციური თვისებების განვითარებას ხელს უშლის. თუმცა აუტისტთა 10% სავანტია (სავანტი, გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანი, რომელიც ერთ ან რამდენიმე სფეროში ექსტრაორდინარულ, გენიალურ შესაძლებლობებს ამჟღავნებს) და დიდ შედეგებს აღწევენ მათემატიკაში, მეხსიერების საკითხებში, მუსიკასა და ხელოვნებაში. სწორედ ასეთი ადამიანები აღიქვამენ სამყაროს ნაწილებად და არა როგორც ერთ მთლიანს. მათ აქვთ წვდომა ქვეცნობიერ დეტალებსა და პროცესებზე, რომლებიც ჩვენც გაგვაჩნია, თუმცა ცნობიერი აღქმის მიღმაა. ალან სნაიდერმა აღმოაჩინა, რომ აუტისტი სავანტების ტვინებს აქვთ ერთი საერთო რამ, მარცხენა საფეთქლის წილის გაუარესება, სანაცვლოდ კი მკვეთრად განვითარებული მარჯვენა საფეთქლის წილი, რაც ალანის აზრით, ხელს უწყობს ახალი იდეების წარმოშობას. ალანმა მოინდომა, აღმოეჩინა ყველა ადამიანში დამალული სავანტი და უჩვეულო იდეა მოუვიდა, მან შექმნა მოწყობილობა, რომელიც ტვინში სავანტების მსგავს აქტიურობას გამოიწვევდა. ის ტვინის მარჯვენა მხარეს გზავნის მცირე დადებით ელექტრულ იმპულსებს, ხოლო მარცხენა მხარეს — უარყოფითს. ამ პროცესს ტრანსკრანიალური სტიმულაცია ეწოდება. შედეგი გასაოცარია: სტიმულირების შემდეგ ადამიანი პასუხს პოულობს იმ ლოგიკურ მათემატიკურ ამოცანებზე, რომლებსაც მანამდე ვერ ხსნიდა. ალანის შექმნილი მოწყობილობა დროებით ცვლის ტვინის მუშაობის სპეციფიკას და აძლევს მას სავანტების შესაძლებლობებს. შესაძლოა, ოდესმე ასეთი მოწყობილობა ყველას ჰქონდეს და საშუალება მოგვეცემა, სამყაროს ახალი თვალითა და თავისუფალი გონებით შევხედოთ. თუმცა ალანის კვლევები მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ტვინის რეალურ პოტენციალთან შედარებით. ქვეცნობიერი უფრო მეტია, ვიდრე ფიქრებისა და ემოციების არქივი. ის მთავარ როლს თამაშობს ჩვენი ორგანიზმის ყოველდღიურ ფუნქციონირებასა და გადარჩენაში. ჩვენ შეგვიძლია, მისი მონაცემები გავაუმჯობესოთ და დროებით გენიოსებად ვიქცეთ... მაიკლ ვაისენდი ნეირომეცნიერია გონების კვლევის ინსტიტუტში, რომელიც ნიუ-მექსიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკეში მდებარეობს. ის თანამშრომლობს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებთან, რათა გააუმჯობესოს მზვერავთა გონებრივი შესაძლებლობები. სამხედრო ტექნიკოსები ახდენენ უპილოტო საფრენი აპარატებიდან მიღებული მონაცემების ანალიზს და ეძებენ შესაფერის მონაკვეთებს, რათა განახორციელონ დაბომბვა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დავალება, სადაც ერთმა შეცდომამ შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს და მტრის საარტილერიო დანადგარის ნაცვლად მოკავშირეთა გადამზიდი გაანადგუროს.

მაიკლს იდეა გაუჩნდა, მან მოახდინა დაკვირვება ტვინზე იმ მომენტში, როცა ექსპერტები სამიზნეებს ეძებდნენ და აქტიური რეგიონების კვლევას შეუდგა. ამის შემდგომ ტრანსკრანიალური სტიმულაციის აპარატის დახმარებით სტაჟიორების ტვინის იმ უბნებზე, რომლებიც ამ საკითხში მნიშვნელოვანია, ელექტრული იმპულსებით დაიწყო ზემოქმედება, რათა ენახა, შეძლებდნენ თუ არა ამ გზით ახალი უნარების უფრო სწრაფად გამომუშავებას. მან შენიშნა, რომ ახალბედებში საფეთქლის წილის მედიალური ნაწილი პასიური იყო, ხოლო ექსპერტებში პირიქით, შეინიშნებოდა საკმაოდ მაღალი აქტიურობა. ამიტომაც მაიკლმა ელექტრული იმპულსები მიმართა ამ რეგიონისკენ. თუკი თავიდან ახალბედები შეცდომას ხშირად უშვებდნენ, ოცდაათ წუთიანი იმპულსირების შემდეგ უმეტესად შეცდომის გარეშე ახერხებდნენ მტრის საბრძოლო დანადგარების ამოცნობას.

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ჩვენ ორი გონება გვაქვს, პირველი ცნობიერ ფიქრებს აკონტროლებს, მეორე კი ჩრდილშია, მაგრამ არასდროს წყვეტს მოქმედებას. ის გვიცავს ზიანისგან, კურნავს ჩვენს სხეულს, გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ უფრო სწრაფად და ვიყოთ მეტად შემოქმედებითები. ქვეცნობიერის რამდენიმე საიდუმლო უკვე ამოხსნილია და ვინ იცის, მისი საბოლოოდ გაშიფრვის შემთხვევაში რის მიღწევას შევძლებთ...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

- რა არის აღნაგობის უფლება?

- აღნაგობა — მიწის ნაკვეთის გადაცემა ვადიან სარგებლობაში ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლებით. ასევე, ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება. აღნაგობის უფლება შეიძლება გავრცელდეს მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც არ არის აუცილებელი აღნაგობისათვის, მაგრამ იძლევა ნაგებობით უკეთ სარგებლობის შესაძლებლობას. აღნაგობის უფლების ვადა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 99 წელს.

* * *

- რა განსხვავებაა იპოთეკასა და გირავნობას შორის?

- იპოთეკით იტვირთება უძრავი ქონება, გირავნობით-მოძრავი ქონება. მაგალითად, მიწა იტვირთება იპოთეკით, ავტომობილი-გირავნობით.

* * *

- რას ნიშნავს კანონისმიერი მემკვიდრეობა?

- იგივეა, რაც კანონით მეკვიდრეობა. დაგიკონკრეტებთ:

კანონით მემკვიდრეობის დროს კანონი თვითონ არეგულირებს, ვის უნდა დარჩეს გარდაცვლილის (მამკვიდრებლის) ქონება და რა რაოდენობით. ამ დროს არსებობს მემკვიდრეთა რიგითობის პრინციპი (სულ 5 რიგი), რაც იმას ნიშნავს, რომ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

კანონით მემკვიდრეებს რიგითობის მიხედვით მიეკუთვნებიან:

I რიგში — გარდაცვლილის შვილები, შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები, (მშვილებლები).

ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია კანონით დადგენილი წესით.

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე, დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილისშვილები და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილისშვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ;

II რიგში — გარდაცვლილის და, ძმა, დისშვილი და ძმისშვილი იმ შემთხვევაში, თუ მისი მშობელი ცოცხალი აღარ არის მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის;

III რიგში — ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა როგორც დედის, ისე მამის მხრიდან; ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან;

IV რიგში — ბიძები, დეიდები, მამიდები;

V რიგში — ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები. ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

სამკვიდრო ერთი რიგის მემკვიდრეთა შორის ნაწილდება თანაბრად. ამ დროს მემკვიდრეთა უფლებებს შორის არ არსებობს განსხვავება სამკვიდრო ქონებასთან მიმართებით. მემკვიდრეთა შორის სამკიდროს გაყოფაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

* * *

- რა არის სავალდებულო წილი?

- ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები მიიღებენ სავალდებულო წილს მამკვიდრებლის ქონებიდან.

სავალდებულო წილი შეადგენს, იმ ქონების ნახევარს, რომელსაც მიიღებდა პირველი რიგის მემკვიდრე, ანდერძი რომ არ ყოფილიყო.

* * *

- როდის ითვლება სამკვიდრო მიღებულად?

- მემკვიდრის მხრიდან სამკვიდრო მიღებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მემკვიდრე (იქნება ეს ანდერძით მემკვიდრე თუ კანონით) შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების თაობაზე ნებისმიერ სანოტარო ბიუროში და მიიღებს სამკვიდრო მოწმობას.

სამკვიდრო მიღებულად ითვლება სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით ან მართვითაც, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო.

ქმედუუნარო და შეზღუდულქმედუნარიანი პირები სამკვიდროს იღებენ თავიანთი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო მხარდაჭერის მიმღები პირები მხარდამჭერის დახმარებით, თუ მას სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდაჭერა ქონებრივი უფლებების განსახორციელებლად დაუწესდა.

ასევე, აგიხსნით, რას ნიშნავს ფაქტობრივი ფლობა ან მართვა და როგორ ხდება ასეთ დროს სამკვიდროს მიღება.

ქონების ფაქტობრივი ფლობა შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. კერძოდ, ასეთია მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში (რაც უნდა დასტურდებოდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით), რომელშიც მამკვიდრებელი ცხოვრობდა, ასევე მამკვიდრებლის ნივთების გადატანა (მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში)და შენახვა თავისთან, რათა შემდეგ მოხდეს მისი განაწილება მემკვიდრეთა შორის (მათი არსებობის შემთხვევაში).

ქონების ფაქტობრივ მართვაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც მემკვიდრე ფაქტობრივად არ ფლობს ამ ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებით დასტურდება, რომ სამკვიდროს თავისად მიიჩნევს. მაგალითად, სამკვიდროს გახსნის შემდეგ იხდის გადასახადებს და ა. შ.

როგორც ქონების ფაქტობრივი ფლობის, ისე ფაქტობრივი მართვის შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია მიმართოს ნოტარიუსს და მოითხოვოს სამკვიდროს მიღება. ასეთი ტიპის მემკვიდრეობის დროს სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადები არ არსებობს, რადგან იგულისხმება, რომ ქონება მემკვიდრის მხრიდან ისედაც მიღებულია და სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსთან მისვლა და ოფიციალური სახის მიცემა მხოლოდ მემკვიდრის ნებაზეა დამოკიდებული.

* * *

- აკისრიათ თუ არა მეუღლეებს ურთიერთრჩენის მოვალეობა როგორც ქორწინების მანძილზე, ისე განქორწინების შემდეგ?

- მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ასეთ დახმარებაზე უარის თქმისას ან/და სარჩოს მიღებაზე მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ: შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, ცოლს — ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან 3 წლის განმავლობაში.

შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, ინარჩუნებს სარჩოს მიღების უფლებას განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან 1 წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.

სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მეუღლე რჩენის მოვალეობისაგან ან განსაზღვრული ვადით შეცვალოს ეს მოვალეობა, თუ მეუღლეები ქორწინებაში იმყოფებოდნენ ხანმოკლე დროით, ანდა მატერიალური დახმარების მომთხოვნმა მეუღლემ უღირსი საქციელი ჩაიდინა სარჩოს გადამხდელის მიმართ, აგრეთვე, თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნი მეუღლის შრომისუუნარობა გამოწვეულია ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით ან მი სმიერ განზრახი დანაშაულის ჩადენით.

მეუღლის სასარგებლოდ გადასახდელი სარჩოს ოდენობა განისაზღვრება ყოველთვიურად გადასახდელი ფულადი თანხის სახით, მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

* * *

- რა შემთხვევაში შეიძლება იყოს პირი მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი?

- მხარდაჭერის მიმღები არის პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები; ამ დარღვევათა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც განსაზღვრავს სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

პირს მხარდაჭერის მიმღებად ცნობს და მხარდამჭერს უნიშნავს სასამართლო, მხარდასაჭერად საცნობი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი სამკურნალო დაწესებულებაშია მოთავსებული — სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

შვილი თამარ ბერძენიშვილი, სიძეები: ვახტანგ ხარჩილავა, დათუნა დაუშვილი, რძალი თიკა რიჟამაძე, შვილიშვილები: დათო, გვანცა ხარჩილავები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლოლა ცინცაბაძე-ბერძენიშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 2 საათზე.
ნუცუბიძის ქ. N179, I კორპუსი



ზაქრო ჯადუგიშვილის ხსოვნას

ერთი წელი გავიდა უშენოდ, ჩვენო უფროსო მეგობარო, კარგო კაცო და მაგარო ადამიანო. ღმერთმა შენი თავის გასახსენებლად ბევრი ტკბილი მოგონება დაგვიტოვა. იხარე ჩვენო ძმაო, სასუფეველში, „იქ სადაც მართალნი განისვენებენ“!

მადლობა შენ, რომ იყავი ამ ქვეყანაზე!

შენი ირაკლი, საძმო და მეგობრები.

მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნები 2021 წლისთვის

20 მარტი ბედნიერების საერთაშორისო დღეა. ამ დღეებში ჭორლდ **Happiness Report**-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი, რომლის მიხედვითაც ყველაზე ბედნიერ ქვეყნად ფინეთი დასახელდა. ეს ქვეყანა ზედიზედ მეოთხედ იკავებს ლიდერის პოზიციას.

ბედნიერი ქვეყნების ათეულში შევიდნენ:

– ფინეთი;
– ისლანდია;
– დანია;
– შვეიცარია;
– შვედეთი;
– გერმანია;
– ნორვეგია;
– ახალი ზელანდია;
– ავსტრია;
– ისრაელი.

რეიტინგში აშშ-მ მე-14 ადგილი დაიკავა, დიდმა ბრიტანეთმა – მე-18, საფრანგეთმა კი – მე-20.

ყველაზე უბედურ ქვეყნებად კი ზიმბაბვე და ტანზანია დასახელდა.

World Happiness Report-ს ყოველწლიურად ადგენს გაერო და მასში მსოფლიოს 149 ქვეყანის შეფასება ხდება.

რეიტიგნის შესადგენად ექსპერტები ითვალისწინებენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, სოციალური მხარდაჭერა, კორუფცია, ერთიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, სოციალური სისტემების მუშაობისა და თავისუფლების ხარისხი.

პირველად მსოფლიო მოხსენება ბედნიერი ქვეყნების შესახებ 2012 წელს გამოქვეყნდა.

ყველამ იცის, რომ შარშანდელი წელი მთელი მსოფლიოსთვის ძალიან რთული იყო. მაგრამ, მიუხედავად უკანასკნელი 12 თვის დამანგრეველი მოვლენებისა, ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგში უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა. პირველ ადგილს ფინეთი იკავებს, მომდევნოს კი ისლანდია, დანია, შვეიცარია და ნიდერლანდები.

თუმცა პირველ ათეულში ცვლილებები მოხდა, ისლანდიამ მეოთხედან მეორე ადგილზე აიწია, ხოლო ნორვეგიამ მეხუთედან მერვე ადგილზე გადაინაცვლა. ამერიკის შეერთებული შტატები მე-18 ადგილიდან მე-14-ზე ავიდა, დიდმა ბრიტანეთმა კი 13-დან ხუთი საფეხურით ქვემოთ ჩაიწია.

უნდა აღინიშნოს, რომ კორონავირუსის გამო 2021 წლის მსოფლიო ბედნიერების შესახებ ანგარიში წელს სრულიად სხვაგვარად იყო შედგენილი. მკვლევარებმა არათუ ვერ შეძლეს რიგ ქვეყნებში გამოკითხვების ჩატარება, არამედ ისინი იძულებულნი გახდნენ, სრულიად შეეცვალათ შეფასების კონცეფცია და ყურადღება გაემახვილებინათ კეთილდღეობასა და კოვიდ-19-ს შორის ურთიერთკავშირზე.

ანგარიში, პირველ რიგში, ეფუძნებოდა ერთიანი შიდა პროდუქტის დონეს, სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობას, ხელისუფლების გულუხვობას, სოციალური მხარდაჭერის მასშტაბებს, თავისუფლების დონეს და ფინანსურ შემოსავლებს.

ანგარიშის ერთ-ერთმა რედაქტორმა, ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ ჰელიველმა განაცხადა:

„საოცარია, მაგრამ, თუ შეფასებებით ვიმსჯელებთ, მნიშვნელოვანი გაუარესება არ შეიმჩნევა. შესაძლოა, ადამიანები კოვიდს ისე უყურებენ, როგორც გარეგან საფრთხეს, რომელიც ყველას ემუქრება და ამან გააჩინა ადამიანებში სოლიდარობა და თანაგრძნობა“.

სიაში შესამჩნევი გადაადგილება განიცადა გერმანიამ, რომელიც მე-17-დან მეშვიდე ადგილზე გადავიდა და ხორვატიამ, რომელმაც 79-ე ადაგილიდან 23-ზე გადაიწია.

მკვლევარებს არ უკვირთ, რომ ფინეთმა კვლავ შეინარჩუნა ლიდერობა, რადგან ეს ჩრდილოევროპული ქვეყანა ყოველთვის მაღალ პოზიციებს იკავებდა ხელისუფლებასა და ხალხს შორის ურთიერთნდობის მხრივ. ამგვარი ნდობა მიჩნეულია იმ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომელმაც შეძლო დაეცვა ადამიანების ფსიქიკა პანდემიის დროს.

ამგვარად, ანგარიშში გამოიკვეთა, რომ ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, დიდ ბრიტანეთში (47%) იმაზე მნიშვნელოვნად გაუარესდა ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობა, ვიდრე ვარაუდობდნენ. უცნაური სულაც არ არის, რომ ბედნიერების ინდექსზე დიდი გავლენა მოახდინა იზოლაციამ და სოციალურმა დისტანცირებამ.

შეგროვილი მონაცემების მიხედვით, ის ადამიანები, რომლებმაც პანდემიის გამო დაკარგეს სამსახური, მწვავედ განიცდიდნენ მარტოობას და მათი ბედნიერების შეგრძნება შემცირდა, ისინი კი, ვინც სამუშაო შეინარჩუნა, თავს შედარებით ბედნიერად გრძნობდნენ.

„ჩვენმა წინა კვლევებმა უჩვენა, რომ ბედნიერი თანამშრომლები 13%-ით უფრო პროდუქტიულები არიან, – განაცხადა ოქსფორდის უნივერსიტეტის კეთილდღეობის კვლევითი ცენტრის დირექტორმა და ანგარიშის ერთ-ერთმა რედაქტორმა, პროფესორმა იან ემანუელ დე ნევემ. – ეს დოკუმენტი ამტკიცებს, რომ ბედნიერება არ არის დამოკიდებული შრომის ანაზღაურებაზე და რომ სოციალური კავშირები და იდენტობის შეგრძნება უფრო მნიშვნელოვანია“.

რეიტინგში საქართველო 73-ე ადგილზეა.

რა მონაცემების მიხედვით დაიკავეს ქვეყნებმა პირველი ადგილები რეიტინგში?

ადამიანების ბედნიერებას განაპირობებს:

– ხელისუფლებისადმი ნდობა;
– კორუფციის დაბალი დონე;
– ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა,
– უსაფრთხოების მაღალი დონე;
– ღირსეული ცხოვრების დონე და შესაბამისი ხელფასები;
– უმუშევრობის დაბალი მაჩვენებელი;
– უფასო და ხარისხიანი განათლება;
– ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება;
– სოციალური თანასწორობა და კარგად აწყობილი სოციალური სფერო – მაღალი პენსიები და შეღავათები;
– კარგი ეკოლოგიური პირობები, დანაშაულის დაბალი დონე.

იმედია, მომავალი წლისთვის საქართველო რეიტინგში უფრო მაღალ საფეხურს დაიკავებს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი
ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1